ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ანა ბერია

ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობა და რეაგირება ბაგა-ბაღებში

სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სოციალური მუშაობის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიმართულებასაც წარმოადგენდა ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობა და რეაგირება ბაგა-ბაღებში. კვლევა ჩატარდა თბილისის საჯარო სკოლამდელ სააღმზრდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მასში მონაწილეობა მიიღეს ბაგა-ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებმა, დირექტორებმა, ფსიქოლოგებმა, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურმა მუშაკებმა და სფეროს ექსპერტმა.

კვლევის ჩასატარებლად, მიმოვიხილეთ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა. ლიტერატურის მიმოხილვისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: სკოლამდელ სააღმზრდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებას აკისრია მნიშვნელოვანი როლი ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მათი ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების წახალისების თვალსაზრისით. ამასთან ერთად, ეს ის დაწესებულებაა, სადაც ოჯახში ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეფერირება მიმდინარეობს. თუმცა, არსებობს ამ პროცედურების შემაფერხებელი რისკ-ფაქტორები, რომელთა გამოც სისტემა ვერ ახორციელებს ნაკისრ ვალდებულებებს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით.

აღნიშნული საკითხის შესასწავლად ჩატარდა კვლევა, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა, დაედგინა, რამდენად ხორციელდება თბილისის საჯარო ბაგა–ბაღებში ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობის, რეაგირების და რეფერირების პროცედურები ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის შესაბამისად. გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ, რომელმაც საშუალება მოგვცა, კვლევაში მონაწილე რესპონდენტებისგან მიგვეღო საკითხისადმი ღრმა და დეტალური ინფორმაცია. კვლევის შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა სისტემაში არსებული შემდეგი სახის პრობლემატური საკითხები: სისტემაში მომუშავე პერსონალის ინფორმირებულობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა; ძალადობის იდენტიფიცირების სირთულე; ძალადობის მსხვერპლ აღსაზრდელთან ურთიერთობის სირთულეები;

რეფერირების პროცედურების პრაქტიკულად არარსებობა. არსებული სურათის შესაცვლელად და სისტემის მხრიდან ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გასათვალისწინებლად, აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ: ბაგა-ბაღები გამოეყონ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს - მოხდეს მათი პირდაპირი დაქვემდებარება განათლების სამინისტროსთან; გაიმართოს სკოლამდელი დაწესებულებების მეთოდოლოგიური ნაწილი, რომლის მნიშვნელოვან მიმართულებასაც უნდა წარმოადგენდეს ბავშვთა დაცვა; ეროვნულ დონეზე დამტკიცებული კურიკულუმით მასობრივად გადამზადდეს დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალი, რათა მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლება ძალადობის იდენტიფიცირების და რეფერირების საკითხებში; დაიხვეწოს კადრების აყვანის შიდა მოთხოვნები - შეფასდეს მათი თეორიული ცოდნა ბავშვთა დაცვის და, ამ კუთხით, მათი ღირებულებების მიმართულებით; დაწესებულებებში უნდა არსებობდეს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მკაფიო სტანდარტები - როგორ იცავს ბავშვს ოჯახური ძალადობისგან, როგორ უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ძალადობის იდენტიფიცირებისას, როგორ ახორციელებს მონიტორინგს; გადამზადებული პერსონალის მონიტორინგს ჰქონდეს აქტიური სახე - ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეფერირების დოკუმენტის დებულებების ცოდნა და განხორციელება გახდეს სავალდებულო; ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, ინტენსიურად თანამშრომლობდნენ განათლების სამინისტრო, ბაგა-ბაღების მართვის და სოციალური მომსახურების სააგენტოები;

Annotation

Within the summary work of the Social Work Master Program, there was held a survey and the main directions of it were: Child abuse in family identification and response in preschool. The survey was conducted in Tbilisi's Public pre-schools and educational institutions. The survey participants were educators and directors of kindergartens, psychologists, Social Service Agency's Social Workers and a specific field Experts.

To conduct the research, we review the existing literature around this topic. While reviewing the literature following topics have been highlighted: Preschools and Educational Institutions have an important role in encouraging children's bio-psycho-social development in child welfare field. Also this is an institute where the violence against children in families is being identified and relevant reactions are being progressed. However, there are risk factors that interrupts these procedures, because of which the system can not resist to do the best of its duty in the protection work of children's interests.

A study was conducted to study the issue, the main purpose of which was to identify If there is counted any violence against children by their family memebers at the public kindergartens of Tbilisi, and if the reaction and referral procedures are carried out in accordance with the kindergartens management strategy. In order to study this issue, the qualitative research method - an in-depth interview was used that allowed us to get deep and detailed information from the respondents involved in the survey. In the analysis of the results of the survey, the following problems were revealed: the lack of awareness of staff working in the system; Access to the information; The difficulty of identifying violence; Difficulties of relationship with the victims of the violence; There is almost no absence of referral procedures. In order to change the existing picture and ensure taking the best interests of children into the consideration, from the system, it is necessary to take effective steps, namely: kindergartens need to be allocated from the local municipalities - and they need to be directly subordinated with the Ministry of Education; there need to be developed a methodological part of pre-school institutions, whose important direction

should be the protection of children; Employed staff in the institutions must be trained in a nationally approved curriculum to raise their awareness on identification and reflection of violence; Need to be Improved the internal requirements of recruitment - their theoretical knowledge of childcare need to be assessed; Institutions should have clear standards of protection against child abuse - how they protect child from family violence, how do they ensure child's best interests in identifying violence, how they monitor; Trained staff need to be monitored often - studying and implementation of the provisions of the Reference document for Protection against Children's Violence need to become compulsory; To protect children's interests, they intensively need to cooperate with the Ministry of Education and with Social Services Agencies.

სარჩევი

შესავალი 7

1.ლიტერატურის ანალიზი 10

1.1. ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები 10

1.1.1ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარება 10

1.1.2 სკოლამდელი დაწესებულებების გავლენა.....14

1.1.3 ძალადობის გავლენა 17

1.1.4 აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაცია 23

1.2 ბაგა-ბაღებში ბავშვთა დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები საქართველოში 27

2.კვლევის დიზაინი 32

2.1კვლევის შედეგების ანალიზი 34

2.1.1ინფორმირებულობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.....34

2.1.2იდენტიფიცირების სირთულე.....40

2.1.3აღსაზრდელზე დაკვირვება 45

2.1.4ძალადობის მსხვერპლ აღსაზრდელთან ურთიერთობა 48

2.1.5რეფერირების პროცედურები.....49

3.დასკვნა-რეკომენდაციები.....55

გამოყენებული ლიტერატურა: 61

დანართი 1 68

შესავალი

ბავშვთა მიმართ ძალადობა აქტუალურ და მწვავე საკითხად რჩება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ქვეყნების განვითარების დონის მიუხედავად, ბავშვები ოჯახურ ძალადობას დღემდე განიცდიან (UNICEF, 2018) ბავშვთა დაცვის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანზაციები, შედეგების ყოველწლიური ანალიზით გვამცნობენ მსოფლიოს წინაშე არსებული პრობლემის სიმწვავეს. საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას ჩვენი ქვეყნის რეალობაშიც. აღნიშნულს ასევე ადასტურებს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის 60% ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება ბევრად შედეგიანია (UNICEF, 2013).

ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას 3-8 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში (WHO, 2015). აღნიშნულ პერიოდში, ბავშვი განსაკუთრებულად მოწყვლადია, რადგან უჭირს ემოციების გამოხატვა, საზიანო სიტუაციიდან თავის დაღწევა და ძალადობის განმახორციელებელთან წინააღმდეგობის გაწევა (Mulder, Kuiper, Put, Stams, & Assink, 2018). აღნიშნული წლები ემთხვევა სწორედ იმ ასაკს, როდესაც ბავშვი სკოლამდელ სააღმზრდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმყოფება.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლამდელი დაწესებულებები. ეს ის ადგილია, სადაც, სწორი სტრატეგიის შედეგად, ხელი ეწყობა ბავშვთა ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების პროცესს. ამასთან ერთად, სკოლამდელ დაწესებულებებში პერსონალის მხრიდან შესაძლებელია ბავშვის ქცევაზე დაკვირვება, შეფასება და მასში არსებული სირთულეების გამოვლენა დროული ჩარევის მიზნით (The World Bank, 2015).

ბაგა-ბაღების პერსონალი ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ნიშნებს ხედავს ყოველდღიურ საქმიანობაში. თუმცა, ძალადობის ამოცნობას, სახელდებასა და შესაბამის რეფერირებას ინფორმირებულობა სჭირდება. 2017-2021 წლების საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის მიხედვით, სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალი ვალდებულია, აქტიურად იყოს ჩართული ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებში. ამასთან ერთად, ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით (2011), აღმზრდელები ვალდებულნი არიან, იცნობდნენ ძალადობრივი კვალის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ქცევით გამოვლინებებს. მათ უნდა შეეძლოთ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირება და რეფერირებისთვის შესაბამისი პროცედურების წარმართვა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება 2010 წლის 31 მაისიდან მოქმედებს. სისტემის არსებობა გულისხმობს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოვლენას, საჭიროებების შეფასებას და უსაფრთხოების, ასევე რეაბილიტაციის ხელშეწყობას; ამასთან ერთად, შემთხვევის შემდგომ ზედამხედველობას (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, 2010). აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში სკოლამდელი აღზრდის და განათლების სფეროში მასშტაბური ცვლილებები 2015 წლიდან დაიწყო, რა დროსაც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, 2015). შემდგომ ამისა, 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე მთლიანად შეცვალა სახელმწიფოს მიდგომები ადრეული და სკოლამდელი განათლებისადმი (კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“, 2016).

მიუხედავად ბოლო წლებში მიმდინარე ზემოთაღნიშნული ცვლილებებისა, რეალურად, სკოლამდელ სააღმზრდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცედურები პრაქტიკულად არ ხორციელდება. ამას ადასტურებს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც, აღმზრდელთა 90% ჯერ ისევ არ ფლობს ინფორმაციას რეფერირების პროცედურებისს

შესახებ. ისინი კი, ვინც ფლობენ ინფორმაციას, თვლიან, რომ შემთხვევის რეფერირება მხოლოდ ძალადობის მძიმე და განმეორებითი ფორმების გამოვლენისას უნდა ხორციელდებოდეს.

აღნიშნული საკითხის შესასწავლად, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ფარგლებში, ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, დაედგინა, რამდენად ხორციელდება თბილისის საჯარო ბაგა–ბაღებში ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების და რეფერირების პროცედურები ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის შესაბამისად. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ამოცანები აღმზრდელთა ინფორმირებულობის, ძალადობის შესახებ მათი წარმოდგენების და ბავშვთა დაცვის რეალურად მიმდინარე პროცედურების მიმართულებებით.

1.ლიტერატურის ანალიზი

1.1. ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები

1.1.1ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარება

ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებისა და მათი გავლენის შესახებ ზრდა-განვითარების პროცესში. აღნიშნული შეგვიძლია განვიხილოთ განვითარების ბიოფსიქოსოციალური მოდელის მიხედვით. ეს არის ინტერდისციპლინარული მოდელი, რომელიც ადამიანის განვითარებაში შეისწავლის ურთიერთკავშირს ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ/გარემო ფაქტორებს შორის. მოდელის მიხედვით, აღნიშნული სამი ის ძირითადი განზომილებებია, რომლებიც გვეხმარება ადამიანის ქცევისა და სოციალური გარემოს შეფასებაში. ბიოფსიქოსოციალური მოდელი თავის თავში აერთიანებს მრავალ სისტემას, რომელიც მოწყობილია იერარქიულად უჯრედიდან სოციალურ დონემდე. მოდელის შემუშავება უკავშირდება ჯორჯ ლ. ენგელის და ჯონ რომანოს სახელებს (1977), რომელთა ხედვითაც, ბიომედიცინის მიდგომის საწინააღმდეგოდ, თითოეულ პაციენტს აქვს საკუთარი აზრები, გრძნობები და ისტორია. დაავადების განვითარებას ავტორები ასახავდნენ ბიოლოგიური (გენეტიკა, ფიზიკური ჯანმრთელობა), ფსიქოლოგიური (პიროვნება, ქცევა, ემოციები) და სოციალური (ოჯახი, მეგობრები, კულტურა, კარიერა, ტრავმა, იზოლაცია,) ფაქტორების ურთიერთქმედებით. დღეს ბიოფსიქოსოციალური მოდელი სპეციალისტებს ეხმარება იმის გააზრებაში, რომ ყველა ეს სისტემა მუდმივად ურთიერთქმედებს ერთმანეთთან და გავლენას ახდენს ადამიანების ქცევაზე.

ბიოფსიქოსოციალური მოდელის მიხედვით, მაგალითად, ყურადღების დეფიციტს და ჰიპერაქტიურობის აშლილობას (ADHD) ბავშვებში შესაძლებელია ჰქონდეს გენეტიკური ფონი. თუმცა, ზოგიერთ ბავშვში, რომელსაც გენეტიკური პრედისპოზიცია აქვს, არ ვითარდება ADHD (Ashford & LeCroy, 2010). ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორები არ იწვევს ადამიანში ამგვარ დარღვევებს. მაგალითად, ბავშვზე,

რომელიც მცირედით არის მიდრეკილი ჰიპერაქტიურობისკენ, შეიძლება გავლენა იქონიოს მშობელმა ისე, რომ გააძლიეროს მისი ჰიპერაქტიური ქცევა. ან პირიქით, ბავშვს შეიძლება განუვითარდეს ADHD, თუ ის იმყოფება მაღალი ტყვიის შემცველობით გარემოში. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რა გავლენა აქვს გარემოს ბავშვის ბიოფსიქოსოციალური განვითარების თვალსაზრისით (Ashford & LeCroy, 2010).

ის, თუ როგორ ახდენს გავლენას ბავშვის განვითარებაზე სოციალური ურთიერთობები და გარემო, საინტერესოა ური ბრონფენბრენერის განვითარების ბიოეკოლოგიური მოდელიც, რომელიც მან ფსიქოლოგიური განვითარების ეკოლოგიური სისტემების მიხედვით ჩამოაყალიბა. თეორიის დახმარებით, შეგვიძლია კომპლექსურად განვიხილოთ ურთიერთობები ბავშვს, ოჯახს და საზოგადოებას შორის და მათი გავლენა ბავშვის განვითარებაზე. ბრონფრენბრენერის მოდელში ბავშვის გარემო ხუთ განსხვავებულ დონედაა დაყოფილი: ქრონოსისტემა, მაკროსისტემა, ეგზოსისტემა, მეზოსისტემა და მიკროსისტემა. 1. ქრონოსისტემა მოიაზრებს კონკრეტული ისტორიული პერიოდის გავლენას ბავშვის განვითარებაზე, იმ სოციო-ისტორიულ გარემოს, სადაც ინდივიდი ვითარდება; 2. მაკროსისტემა აერთიანებს იმ კულტურულ გარემოს, ნორმებს და ღირებულებებს, რომელშიც ბავშვი იზრდება; 3. ეგზოსისტემა იმ ცხოვრებისეულ მოვლენებს მოიაზრებს, რომლებშიც ბავშვი უშალო მონაწილე არაა, თუმცა ეს მასზე გავლენას ახდენს. მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ მშობლების კარიერული წინსვლა თუ სამსახურიდან გათავისუფლება, სოციალური კეთილდღეობის სერვისები, მასმედია, მეზობლები; 4. მეზოსისტემაში მოიაზრება ინტერაქციები იმ სისტემებს შორის, რომლებშიც ბავშვი იმყოფება. ისინი, თავისი ურთიერთქმედებით, არაპირდაპირ ახდენენ გავლენას ბავშვის განვითარებაზე. მაგალითად, აქ შეგვიძლია მოვიაზროთ ურთიერთობა ბავშვის მშობელსა და ბაღის აღმზრდელს შორის. მოდელის მიხედვით, თუ ორივე დამოუკიდებელი მიკროსისტემა აღებული ერთად მუშაობს, შედეგად ვიღებთ პოზიტიურ გავლენას ბავშვის განვითარებაზე. ხოლო როცა მათი ურთიერთობა ერთმანეთის საპირისპიროა, სახეზე გვაქვს ნეგატიური გავლენა. 5. მიკროსისტემა კი მოიცავს იმ ასპექტებს და გარემოებებს, რომლებთანაც ბავშვი ყველაზე ახლო კონტაქტში იმყოფება. მაგალითად: ოჯახი, საბავშვო

ბაღი, სკოლა, ჯანმრთელობის სერვისები, თანატოლები. ბრონფრენბრენერის ბიოეკოლოგიური მოდელი ურთიერთმიმართებაში და არა ცალ-ცალკე განიხილავს სოციოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ეკონომიკისა და პოლიტიკის ფაქტორების გავლენას ბავშვის განვითარებაზე (Bronfenbrenner, 1992)

ადრეული ასაკი, კრიტიკული პერიოდია ბავშვთა განვითარების თვალსაზრისით, რადგან პროცესი, ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, ჰგავს მარაგის შევსებას ფიზიკური, კოგნიტური და სოციოემოციური „სამშენებლო ბლოკებით“ (Bornstein, et. El,. 2012). აღსანიშნავია, რომ განვითარების რა გამოცდილებაც ბავშვს უგროვდება 5 წლის ასაკამდე, ქმნის დანარჩენი ცხოვრების სრულ ტრაექტორიას (Daelmans, 2015). ბავშვის განვითარება გულისხმობს ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქოლოგიური და სოციოემოციური უნარ-ჩვევების გაღრმავებას, რომლებიც სამომავლოდ, საწინდარია კომპეტენტურობის, ავტონომიურობის და დამოუკიდებლობის. ადრეულ ასაკში მიღებული არასასურველი გამოცდილებები ქმნის ღარიბ სოციალურ, კოგნიტურ და ჯანმრთელობის მდგომარეობას. იზრდება რისკი პიროვნების ეკონომიკური დამოკიდებულობის, ძალადობის, კრიმინალის, ნივთიერებებზე დამოკიდებულების და ქრონიკული დაავადებების (Bornstein, et. El,. 2012).

ადრეული ასაკის ბავშვთა უსიამოვნო გამოცდილებები ღრმავდება მოზარდობისას და ძალიან რთულდება პროცესის დადებითი მიმართულებით წარმართვა (Woika & Bowersox, 2013) ადამიანის გენები და წარსული გამოცდილება ურთიერთქმედებს და გავლენას ახდენს ტვინის ფუნქციონირებაზე. პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სიცოცხლის თავდაპირველ ეტაპზე, როდესაც ტვინის ნეიროპლასტიკურობა ყველაზე ძლიერია. ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებული ნერვული კავშირები განაპირობებს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, გავლენას ახდენს ადაპტაციის, დასწავლის უნარებზე, ცხოვრების ხანგრძლივობასა და მდგრადობაზე. გამომდინარე აქედან, ბავშვთა განვითარების ხელშეწყობა ინდივიდების სოციალურ პასუხისმგებლობამდე დადის, განსაკუთრებით იმ ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც ცხოვრობენ სოციალურად დაუცველ

ოჯახებში და მათი თემის, რომელსაც მრავალ სირთულესთან უწევს გამკლავება (Daelmans, 2015).

ბავშვის განვითარებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობაზე, რადგან კვლევები ადასტურებს შემდეგს - განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები 5 წლამდე ასაკის 2000 მილიონი ბავშვი დგას რისკის წინაშე, რომ ისინი ვერ მიაღწევენ მათი განვითარების მაქსიმუმს. ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, საგანმანათლებლო და პროფესიული მიღწევები, ოჯახის კეთილდღეობა და სოციალური ურთიერთობები - ყველა ეს საკითხი ფესვს იდგამს სწორედ ადრეულ ასაკში (OECD, 2010).

მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ კონკრეტულად ადრეული ბავშვობის პერიოდში განვითარების თვალსაზრისით მიმდინარე პროცესები სხვადასხვა თეორეტიკოსების მიხედვით. ბავშვის საბავშვო ბაღში ყოფნის ასაკი (2-6 წ.), ზიგმუნდ ფროიდის განვითარების თეორიის მიხედვით, ემთხვევა სწორედ იმ ეტაპს, როდესაც პიროვნებაში ყალიბდება ეგო - პიროვნულობის რეალისტური ნაწილი, რომელიც ცდილობს, დააბალნსოს პიროვნების იდი და სუპერეგო, სოციალურად და მორალურად მისაღები გადაწყვეტილებების მისაღებად. ფროიდის მიხედვით, ეს ის ასაკია, როდესაც პიროვნებაში ყალიბდება გენიტალური ცნობიერება, სიყვარული ან სიძულვილი მშობლების მიმართ, ოედიპოსის კომპლექსი. ერიკ ერიკსონის მიხედვით, განვითარების აღნიშნულ პერიოდში, ბავშვში იღვიძებს დამოუკიდებლობის განცდა, ის სწავლობს დამოუკიდებლად ფიქრს. ბავშვი პოულობს ბალანსს სპონტანურობასა და თავშეკავებას შორის. ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით კი, ბავშვის საბავშვო ბაღში ყოფნის ასაკი ემთხვევა პრეოპერაციულ პერიოდს. აღნიშნულ ეტაპზე ვითარდება ბავშვის ენობრივი უნარები, რაც მას ახალი სოციალური ურთიერთობების წამოწყების საშუალებას აძლევს. ბავშვს უკვე შეუძლია ინფორმაციის მიღება მეტყველების დახმარებით, რაც მანამდე შეუძლებელი იყო. თუმცა, ბავშვის ცოდნა დამყარებულია მის პირად გრძნობებზე და არა რეალობაზე, მისი ფიქრები ალოგიკურია (Ashford & LeCroy, 2010).

1.1.2 სკოლამდელი დაწესებულებების გავლენა

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, მისი ბიოფსიქოსოციალური განვითარების თვალსაზრისით, სკოლამდელ განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, შესაბამისად, საინტერესოა მისი ორგანიზაციული განვითარების გაანალიზება. მიმოვიხილოთ საბავშვო ბაღის დაარსების ისტორია და მისი ფუნქციები. პირველი საბავშვო ბაღი აშშ-ში 1856 წელს დაარსდა გერმანელი ემიგრანტებისთვის (Graue, 2001). ბაგა-ბაღი დაარსებისთანავე იყო ორიენტირებული აღსაზრდელების ბუნების, მათი საჭიროებების გათვალისწინებასა და განვითარებაზე, ბავშვის სახლში დაბრუნებისკენ ხელშეწყობისა და მიღებული გამოცდილების სკოლაში გამოყენებისკენ. ამასთან ერთად, საბავშვო ბაღი ორიენტირებული იყო ბავშვის უფლებებზე, ესწავლა მას ადეკვატური ქცევები, კვება, ძილი, დასვენება, თამაში, პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (განსაკუთრებით ტუალეტის გამოყენების სწავლა), ემოციური თუ სოციალური სიჯანსაღე (Hill, 1987).

აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღში შეყვანა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვების ცხოვრებაში, რადგან აქ ისინი პირველად ხდებიან გარკვეული ჯგუფის წევრი და ერთობლივად ერთვებიან სხვადასხვა სახის აქტივობებში (Vlachou, Andreou, Botsoglou & Didaskalou, 2011). კვლევები ადასტურებს, რომ ის ბავშვები, რომლებიც სკოლამდე ბაღში დადიოდნენ, ბევრად წარმატებულნი არიან და მარტივად უმკლავდებიან სირთულეებს (Graue, 2001). მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებით, საერთაშორსო კვლევებმა, ძირითადად აშშ-სა და ევროპაში, აჩვენა, რომ სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა იწვევს ისეთ დადებით გავლენას ინდივიდებსა და მთლიანად გარემოზე, როგორებიცაა: უმუშევრობის კლება, ინდივიდის სახელმწიფო სოციალურ მომსახურებებზე დამოკიდებულების შემცირება, კრიმინალის კლება, ჯანმრთელობის უკეთესი მდგომარეობა, ინდივიდების შემოსავლების და, შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების ზრდა (The World Bank, 2018).

ბავშვის ფსიქო-სოციალური განვითარების თვალსაზრისით, სკოლამდელი დაწესებულება ხელს უწყობს მეტყველების, ენის, ლიტერატურის და მათემატიკური უნარ-ჩვევების განვითარებას ძალიან მოკლე დროში (Williams, 2019). ამასთან ერთად, მას ასევე შეუძლია ბავშვებში აგრესიული ქცევის შემცირება (Yoshikawa, Weiland, & Brooks-Gunn, 2016). აღსანიშნავია, რომ იმ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ქულები, რომლებიც დადიოდნენ სკოლამდელ დაწესებულებაში, აღემატება მათ ქულებს, ვისაც არ უვლია. ავტორის აზრით, ეს ბევრი ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული. მაგალითად, აღმზრდელს შეუძლია დაბალი უნარ-ჩვევები აუმაღლოს აღსაზრდელს, ამის შენარჩუნებას კი დაწყებითი კლასების ხარისხიც უნდა უწყობდეს ხელს. ბავშვს, შესაძლოა, ეს უნარ-ჩვევები ისევ დაუქვეითდეს, თუ ხარისხიანი სკოლამდელი დაწესებულებიდან უხარისხო დაწყებით სკოლაში გადავა. მეტიც, კვლევებმა აჩვენა, რომ ხარისხიანი სკოლამდელი განათლება, რომელიც სკოლაშიც გრძელდება, ხელს უშლის ბავშვებში კრიმინალური ქცევის ჩამოყალიბებას მოზარდობის ასაკში (Yoshikawa, et, el., 2016).

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ განვითარებად ქვეყნებში არსებულ რეალობაზე. მსოფლიო ბანკის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში 5 წლამდე ბავშვების 30%-ს შეწყვეტილი აქვს ფიზიკური განვითარება, რაც გამოიხატება როგორც მათი სიმაღლის, ასევე სხეულის მასის შეუსაბამობაში ბავშვის ასაკთან. ეს პრობლემა ასევე აერთიანებს ბავშვთა კოგნიტურ განვითარებასაც. ანგარიშის მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში ბავშვების უმრავლესობა სკოლაში მოუმზადებელი მიდის, ფიზიკური და კოგნიტური პობლემებით. აღნიშნულის მიზეზად სახელდება ის ფაქტი, რომ ისინი არ იღებენ სკოლამდელ განათლებას. ანგარიშის მიხედვით, ბავშვის ტვინი, რომელიც 6 წლამდე არ იტვირთება, კარგავს შესაძლებლობებს და სუსტდება (The World Bank, 2018).

კვლევებით მყარდება, რომ ბავშვები დაბალი სოციალური კლასიდან სკოლაში შედიან ნაკლებად მომზადებული. საბავშვო ბაღი, მათი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობით, უნარ-ჩვევებით და ქცევებით, ნაკლებად ამზადებს მათ სკოლისთის, ვიდრე იმ ბავშვებს, რომელთაც უკეთესი ეკონომიკური ფონი აქვთ ოჯახში. 48%-ზე ნაკლები ღარიბი ბავშვებისა

სკოლისთვის მზად არის 5 წლის ასაკში, რაც მოიაზრებს კითხვის, შეთვისების უნარებს და ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას. ბავშვები მაღალი სოციალური ფენიდან ან მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახებიდან მეტად არიან მომზადებული საგანმანაათლებლო აქტივობებისთვის. ამ ბავშვების 75% მზად არის სკოლაში შესასვლელად 5 წლის ასაკში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევის მიხედვით, ღარიბ და მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახების ბავშვებს შორის სხვაობა არის 27% მათი სკოლისთვის მზაობის თვალსაზრისით (Gaynon, 2015)

სკოლამდელი განათლების საჭიროებაზე საუბრისას, საინტერესოა მათი ხელმისაწვდომობის საკითხის გაანალიზებაც. მაგალითაც, აშშ-ში დიდ პრობლემას წარმოადგენს უფასო საბავშვო ბაღების არსებობა. მოსახლეობის 3-5 წლამდე ბავშვების მხოლოდ 25% დადის დაფინანსებულ საჯარო ბაღებში, ხოლო 25% - კერძოში. აშშ-ში მილიონობით ბავშვი ვერ იღებს სკოლამდელ განათლებას, რაც ოჯახების დაბალშემოსავლიანობით და მშობელთა განათლების დონით იხსნება (Ryan, 2006).

ბაგა-ბაღების ხელმისაწვდომობის მხრივ, მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ ჩვენი ქვეყნის რეალობასაც. 2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, საქართველოში ადრეული ასაკის (4-6 წლის) ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69.5%-ს წარმოადგენს, როდესაც ევროპული ნიშნული 95%-ია. ჩარიცხვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებში (33%), სოციალურად დაუცველ ბავშვებში (39,7%) და სოფლად (46.8%) (Unicef, 2017).

საქართველოს 2017-2021 წლების საგანმანათლებლო სტრატეგიაში ვკითხულობთ, რომ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული ბოლო საგანმანათლებლო კვლევების მიხედვით, პირველ კლასში მისული მოსწავლეების იმ ნაწილს, რომლებიც სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ დადიოდნენ, არ აღმოაჩნდათ სასკოლო განათლების დაწყებისთვის საჭირო კოგნიტური და არაკოგნიტური (ემოციური,

სოციალური, ფიზიკური) უნარები (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017)

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, ყირგიზეთში, ბავშვების 90% არ იღებს არანაირ სკოლამდელ განათლებას, რის შედეგადაც, სახეზე გვაქვს ბავშვების ფსიქო-სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები სასკოლო ასაკში (World bank, 2010). პოსტ-საბჭოთა ქვეყნების დიდ ნაწილში სავალდებულო გახდა ბავშვის სკოლაში შეყვანამდე მისი ერთი წლით სკოლამდელ დაწესებულებაში შეყვანა. ამ ქვეყნების დიდ ნაწილში ბავშვის სკოლაში შეყვანისთვის ითხოვენ მისი სკოლამდელი განათლების დამადასტურებელ „სერტიფიკატს". აღნიშნულის საკანონმდებლო დონეზე აყვანას ხელი შეუწყო იმ ფაქტის გააზრებამ, რომ სკოლისთვის ბავშვს განვითარებული უნდა ჰქონდეს მეტყველება და სოციალური უნარები, ამასთან ერთად, გამოვლენილი უნდა იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (OECD, 2018).

1.1.3 ძალადობის გავლენა

ბავშვის ზრდა-განვითარების ხელშემშლელი რისკ-ფაქტორებიდან, ერთ-ერთად ძალადობა განიხილება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ის მიმართულებები, რომლებზეც გავლენას ახდენს ძალადობა ბავშვის ზრდა-განვითარების პროცესში. კერძოთ, მიმოვიხილოთ ბავშვის ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ და კოგნიტურ განვითარებაზე ადრეული ასაკის ტრავმული გამოცდილებების გავლენა.

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათ კონვენციაში ძირითადი აქცენტი კეთდება ბავშვის ჯანსაღი და ჰარმონიული განვითარებისთვის ხელშემწყობ ფაქტორებზე. აღნიშნულია, რომ იგი უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარული და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. კონვენციის წევრი ქვეყნები ოჯახს განიხილავენ საზოგადოების ძირითად უჯრედად და თანხმდებიან, რომ მას უნდა გაეწიოს თანადგომა, რადგან წევრები სრულად იღებენ ვალდებულებას ბავშვა კეთილდღეობის სფეროზე.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის ზრდა-განვითარებაზე ზრუნვა იწყება ორსულობის პერიოდიდან დაბადებამდე და ადრეულ ასაკამდე. ავტორების მიხედვით, ბავშვთა დაცვა დაავადებებისგან და ნუტრიციული საკვებით უზრუნველყოფა აუცილებელია, თუმცა არა საკმარისი. ბავშვს სჭირდება მზრუნველობით სავსე, უსაფრთხო და სტიმულისმომცემი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მას შესაძლებლობებით უწყვეტი განვითარების მისაღებად (Cannon, Auger, Diamond, & Spurlock, 2016). ამისათვის, ავტორები გვთავაზობენ სამ ძირითად მიმართულებას: მხარდამჭერი ზრუნვის ხელშეწყობა; დედათა ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა; სოციალური დაცვა სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების შემუშავებით, რაც უზრუნველყოფს ოჯახებს, გაძლიერდნენ ბავშვთა განვითარებისთვის (Daelmans, 2015)

საინტერესოა რობერტ კოლსის მორალის განვითარების თეორია, სადაც კოლსი მიიჩნევს, რომ მშობლების (ასევე სკოლის, თანატოლების) ქცევა, ანუ ის, თუ როგორ ზრუნავენ ისინი ბავშვზე, აყალიბებენ ბავშვის მორალურ სახეს. კოლსის მიხედვით, ბავშვები ფლობენ დიდ ზნეობრივ მორალს იდეებისა და ღირებულებების, იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის სწორი და რა - არასწორი. მათ უყალიბდებათ აღქმა გარშემომყოფებზე დაკვირვებით, თუ რას ფიქრობს, გრძნობს და აკეთებს ხალხი მათ გარშემო. თეორიის მიხედვით, ბავშვების მუდმივი დაკვირვება მშობლების ქცევაზე, ილექება მათ მორალში, ისინი უნებლიედ ხდებიან ამის მატარებელნი და შემდომში ანალოგიურ ქცევას იმეორებენ (Cannon, et, el,. 2016)

არაერთი თეორიული მოდელი ჩამოყალიბდა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხის ასახსნელად. ბელსკი თეორიულ მოდელში, რომელიც ბრონფენბრენერის ეკოლოგიურ მოდელს ეფუძნება, ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკ-ფაქტორებად 4 ძირითად მიმართულებას გამოკვეთს: 1. მშობლებს ბავშვობიდან მოჰყვებათ ნეგატიური გამოცდილება, მათი მშობლების აღმზრდელობითი თვისებები მშობლობის ახლანდელ უნარებზე ისახება; 2. ბავშვის და ოჯახის მახასიათებლები (მიკროსისტემა); 3. საცხოვრებელი გარემოს მახასიათებლები (ეგზოსისტემა) და 4. საზოგადოების მახასიათებლები ბავშვის აღზრდის საკითხების მიმართ (მაკროსისტემა). აღნიშნულ

მოდელში, ბავშვთა მიმართ ძალადობა (მათ შორის უგულებელყოფა) ახსნილია, როგორც დისბალანსი რისკსა და დამცავ ფაქტორებს შორის. მოდელის მიხედვით, ბავშვთა მიმართ ძალადობა აერთიანებს რისკ ფაქტორების კომპლექსურ მახასიათებლებს, რომლებიც ვლინდება ბავშვში და მის გარემოცვაში (Mulder, et. el,. 2018)

ბავშვთა მიმართ ძალადობის, ასევე ეფექტური პრევენციისა და რეაგირების სახეები განსხვავდება ბავშვთა ასაკის მიხედვით. ადრეული ბავშვობის ძალადობრივი გამოცდილება ხშირად ქრონიკულად ისახება ადამიანის ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე. ზოგიერთისთვის ეს არის ხანმოკლე ფიზიკური დაზიანებები, ზოგისთვის კი - ფიზიკურ ზრდაში ჩამორჩენა, ნევროლოგიური დაზიანებები, ვერბალური და შემეცნებითი დეფიციტი (WHO, 2012).

ბავშვთა მიმართ ძალადობა დაკავშირებულია ბავშვებში გრძელვადიანი ფსიქო-ემოციური სირთულეების განვითარებასთან, როგორებიცაა: თვითდამაზიანებელი აზრები და ქცევა, ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, აგრესია და კრიმინალური ისტორია (Mulder, et. el,. 2018)

ტვინის ვიზუალიზაციის ტექნიკა მეცნიერებას საშუალებას აძლევს, გამოიკვლიონ ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის გავლენა ტვინის განვითარებაზე (Young & Widom, 2014). კვლევები ადასტურებს, რომ ბავშვობის ძალადობრივი გამოცდილებები აზიანებს ტვინის ფიზიკურ სტრუქტურას უჯრედების დაზიანების შედეგად, ხელს უშლის ჯანმრთელობის ერთიანი სურათის ჩამოყალიბებას და იწვევს ბავშვის ტვინის ნერვული სტრუქტურისა და ფუნქციის შეცვლას. აღნიშნული ნეირობიოლოგიური მიგნებები ხსნის ზოგიერთ ემოციურ, ფსიქოლოგიურ და ქცევით სირთულეებს, რომლებიც ადრეული ბავშვობის ძალადობრივი გამოცდილებების შედეგია (Knauer, Ozer, Dow, & Fernald, 2019).

არსებობს მტკიცებულებები, რომ ხშირი სტრესი ბავშვებში იწვევს სტრესის ჰორმონების მოჭარბებას, რომლებიც ხელს უშლის ტვინის აგებულების, იმუნური სისტემის, მეტაბოლიზმის და გულსისხლძარღვთა სისტემის ჩამოყალიბებას. მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ როდესაც ბავშვი სტრესულ გარემოში იმყოფება, მას არ შესწევს შემეცნებითი

ან ვერბალური უნარი, გამოხატოს თავისი გრძნობები, შეამციროს საფრთხე ან თავი დააღწიოს საფრთხისშემცველ სიტუაციას. შიში ილექება ბავშვის მეხსიერებაში, რის შედეგადაც, ტვინი ინახავს ასოციაციებს (Thompson, 2014). ამ მხრივ, მცირეწლოვანი ბავშვები განსაკუთრებული რისკის წინაშე დგანან, რადგან მათი სწრაფადგანვითარებადი ტვინი ძალიან დაუცველია ზიანის რისკების არიდებისგან. ორგანიზმის სტრესზე მოპასუხე სისტემის მუდმივი აქტივაცია გვიჩვენებს ტვინის მიკროსქემის ეფექტურობის მოშლას, რაც იწვევს გრძელვადიან უკუჩვენებებს დასწავლის პროცესზე, ქცევაზე, ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობაზე (Fox, 2011)

აღსანიშნავია, რომ პოზიტიური სტრესი (ზომიერი, ხანმოკლე რეაქციები არასასიამოვნო გამოცდილებებზე) ადრეულ ასაკში აუცილებელია ტვინის ჯანსაღი განვითარებისთვის, როდესაც ტოქსიკური სტრესი უკან ხევს ტვინის სტრუქტურულ განვითარებას და ხელს უწყობს ფიზიკური და ფსიკიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარებას, დეპრესიას, შფოთვას, ნივთიერებების ავადმოხმარებას (Kendall-Tackett, 2002)

კვლევების მიხედვით, მშობლობის დაბალი უნარები, მათი მრიდან ოჯახში გაუაზრებლად შექმნილი მუდმივად დაძაბული და სტრესული გარემო ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარებაზე ნეგატიურად ისახება; მშობლების სითბო და მზრუნველობა მართავს მშობლობის ხარისხს ბავშვებში; მათი მხრიდან წამახალისებელი და მხარდამჭერი უნარები მართავს ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ხარისხს (Knauer, et, el., 2019)

ბავშვთა ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვა წარმოადგენს ბავშვთა უფლებების კონვენციის ფუნდამენტურ უფლებას. თუმცა, ბავშვთა მიმართ ძალადობა დღესაც მწვავედ დგას მთელი მსოფლიოს წინაშე ქვეყნების ეკონომიკის, კულტურის, სოციუმის, ეთნიკურობის მიუხედავად. ბავშვები, რომლებიც ძალადობრივ გარემოში იზრდებიან, ხშირად ზრდასრულობისას ურთიერთობის ამ ფორმას იყენებენ საკუთარ მეუღლესთან და შვილებთანაც. ძალადობის შედეგად ოჯახის და ბავშვის მიმართ მიყენებული ზიანი სერიოზულ ეკონომიკურ ზარალს აყენებს ინდივიდებს და მთლიან სოციუმს ინდივიდის

დაბალი პოტენციურობისა და პროდუქტიულობის გამო (Lixin Ren, Bi Ying Hu & Zhanmei Song, 2019)

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბავშვთა მიმართ ძალადობის გავლენების აღიარება გაიზარდა, თუმცა ფენომენის შესახებ დოკუმენტაცია ჯერ კიდევ გაუმართავია და შემთხვევები შეუტყობინებელი რჩება. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასვა მიზეზებით, რომელთაგან ერთ-ერთი არის საზოგადოების მიმღებლობა ძალადობის ზოგიერთი ფორმის მიმართ. ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის უმთავრესი შეზღუდვა არის ის, რომ ბავშვებს, უმეტესად, არ შესწევთ უნარი და გამოცდილება, ისაუბრონ განცდილი ძალადობის შესახებ (UNICEF, 2015)

არსებობს არაერთი მტკიცებულება, რომ ბავშვობის ტრავმები (ძალადობა/უგულებელყოფა) თავს იჩენს ზრდასრულობის და მოზარდობის პერიოდში და ზრდის რისკ-ფაქტორს დეპრესიის, ბიპოლარული აშლილობის, შიზოფრენიის და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის - ყველა ეს სინდრომი ხასიათდება კოგნიტური დისფუნქციით (Gould, et, el., 2012).

მონაცემების მიხედვით, ნაკლები კვლევა ტარდება არადასავლურ კულტურაში მშობლობის როლზე ბავშვის ბიოფსიქოსოიალური განვითარების საკითხში. ჩინეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ადრეული ასაკის ბავშვების 228 მშობელმა, გამოიკვეთა ავტორიტეტული მშობლობის დადებითი მხარეები. ამ ოჯახების ბავშვებს ჰქონდათ შესანიშნავი სოციალური უნარები და ძალიან მცირე ქცევასთან დაკავშირებული პრობლემა. კვლევის მიხედვით, ჩინეთში სწორედ ავტორიტეტული მშობლობა ასრულებს გადამწყვეტ როლს ბავშვის სოციო-ემოციური განვითარების თვალსაზრისით (Lixin Ren, Bi Ying Hu, & Zhanmei Song, 2019)

კვლევები ადასტურებს, რომ კოგნიტური აშლილობები ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტებში ხშირად სწორედ ადრეული ასაკის ტრავმებით არის განპირობებული. კემბრიჯის ნეიროფსიქოლოგიური ტესტი - ავტომატური ელემენტი (CANTAB)

გამოყენებულ იქნა კვლევაში მონაწილე 18-24 წლის 93 რესპონდენტთან, რომელთაგანაც 60 მათგანს ადრეულ ასაკში ჰქონდა ძალადობის გამოცდილება, ხოლო დანარჩენ 33 აღნიშნული გამოცდილების გარეშე იყო. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულებს არ ჰქონდათ ძალადობის გამოცდილება 13 წელს ზემოთ. ასევე, მიმდინარე პერიოდში არ გადიოდნენ რაიმე სახის თერაპიულ კურსს. კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ძალადობის გამოცდილების მქონე მონაწილეთა 35% მიმდინარე პერიოდში ხასიათდებოდა დეპრესიით, ხოლო 16.7% პოსტტრავმული სტრესული აშლილობებით (Gould, et, el., 2012).

კვლევა, რომელიც ჩატარდა ინგლისში, დაეფუძნა ჰიპოთეზის გამყარებას, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა პირდაპირ კავშირშია მოზარდთა ფსიქო-სოციალურ და ფიზიკურ დარღვევებთან ინგლისში. კვლევაში ძალადობის კონკრეტულ ფორმებად აღებულ იქნა სექსუალური და ფიზიკური ძალადობა. კვლევისას გამოყენებულ იქნა ინგლისის 2007 წლის „ფსიქიკური სირთულეების მქონე ზრდასრულთა“ მონაცემები. კვლევა მოიცავდა 16 წელს და ზემოთ მყოფი 7403 მონაწილის მონაცემებს. კვლევის შედეგების მიხედვით, იმ მონაწილეთა 95%-ს, რომელთაც ჰქონდათ ყველა სახის სექსუალური ძალადობის გამოცდილება (ვერბალური, შეხება, სქესობრივი აქტი), მიმდინარე პერიოდში, უკვე ზრდასრულობისას ახასითებდათ: შფოთვითი აშლილობა, ფიზიკური ჯანმრთელობის ქრონიკული დარღვევები ან მარტოსულობა (Jacob, Thoumie, Haro, & AiKoyanagi, 2019)

ნაკლებად ცნობილი ფაქტია, რომ ინექციულ ნარკოტიკებზე დამოკიდებულება ხშირად არის დაკავშირებული ბავშვობის ტრავმულ გამოცდილებებთან. ადამიანებს, რომლებიც ხშირად იღებენ ნარკოტიკებს ინექციით, იტანჯებიან ქრონიკული ფიზიკური ტკივილებით, რომლებიც ხშირად უკავშირება ტრავმებს და ფიზიკურ ავადმყოფობებს. აღნიშნული ტკივილები გავლენას ახდენს გონებრივ ჯანმრთელობაზე, ცხოვრების ხარისხზე და ნივთიერებების ავადმოხმარების ქცევაზე. კვლევამ, რომელიც 2014-2016 წლებში ჩატარდა ვანკუვერში (კანადა), მოიცვა 1459 მონაწილე. კვლევა ჩატარდა ურთიერთკავშირის დასადგენად ბავშვობის ემოციური ძალადობის გამოცდილებასა და მიმდინარე ქრონიკულ ტკივილებს შორის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში. მონაწილეთა 40%-მა (591) დააფიქსირა

ბავშვობაში განცდილი ემოციური ძალადობა, 52.1%-მა (760) დაადასტურა ქრონიკული ტკივილი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში. კვლევის მიხედვით, ბავშვობაში განცდილი ემოციური ძალადობა ინდივიდში რჩება ქრონიკული ტკივილების გამომწვევ ასოციაციებად (Prangnell, et, el., 2019)

1.1.4 აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაცია

სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის, მნიშვნელოვანია აღმზრდელთა კვალიფიკაციის საკითხის გაანალიზებაც, რამდენად მზადაა აღმზრდელი, საჭირო დროს შეეძლოს ძალადობის ამოცნობა და შესაბამისი ღონისძებების გატარება. მშობლებისთვის და სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საბავშვო ბაღი არის პირველი ადგილი, სადაც აღსაზრდელის სოციალური ურთიერთობები და თანმხლები სირთულეები შეიძლება შეფასდეს აღმზრდელების და პროფესიონალების მიერ (Vlachou, 2011).

მარია მონტესორის ინტელექტუალური განვითარების თეორია ყურადღებას ამახვილებს ექვს ძირითად ასპექტზე, რომლებიც გვეხმარება გარემოს შესწავლის პროცესში მყოფი ბავშვების საჭიროებების აღქმაში. ეს ასპექტებია: 1. დამოუკიდებლობა - დავრთოთ ბავშვს ნება, თვითონ აირჩიოს. 2. დაკვირვება - დავაკვირდეთ, როგორ ირთობს ის საკუთარ თავს. ვისწავლოთ, რა უნდა ბავშვს 3. მივყვეთ ბავშვს - ვიყოთ არაგანსჯითი, ის თვითონ გვაჩვენებს, თუ რა სურს. 4. შევუსწოროთ ბავშვს - არ ვუსაყვედუროთ უნებლიე შეცდომების გამო. 5. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოვამზადოთ გარემო - ზრდასრულის როლია ბავშვს შევუქმნათ სწავლისთვის ადეკვატური გარემო. 6. „შემწოვი გონება“ (Absorbent mind) - სათანადოდ მოვამზადოთ გარემო, რომ ბავშვს ჰქონდეს შესაძლებლობა, მარტივად შეითვისოს. თეორიის მიხედვით, ბავშვები უკეთ სწავლობენ საკუთარი შეგრძნებების გამოყენებით და ინტერესების გატანით, მათ აქვთ თანდაყოლილი ნიჭი და უნარ-ჩვევები. ისინი თვითონ მიგვანიშნებენ, როდის არიან მზად სწავლისთვის. საგანმანათლებლო

ფილოსოფია ყურადღებას ამახვილებს იდეაზე, რომ ბავშვები მოზარდებისგან განსხვავებულად ვითარდებიან და ფიქრობენ (Montessori, 1907)

ავტორების მიხედვით, საბავშვო ბაღის სრულყოფილმა პროგრამამ, შესაძლებელია, წაახალისოს ბავშვის განვითარების პროცესი და დაეხმაროს ისეთ ბავშვებს, რომლებიც სკოლამდელ ასაკში სხვადასხვა სირთულეების წინაშე დგანან, ამისათვის კი, როგორც აღმზრდელებს, ისე მშობლებს, კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული, თუ რას წარმოადგენს საბავშვო ბაღი და რა პასუხისმგებლობები აკისრიათ ბავშვთან მიმართებაში თითოეულის შემთხვევაში (Graue, 2001).

სხვადასხვა დროსა და სივრცეში, სკოლამდელი დაწესებულებების შესწავლის შედეგად იკვეთება აღმზრდელთა ინტენსიური ტრენინგების და გადამზადების აუცილებლობა. ავტორების მიხედვით, თუ გვინდა ბავშვთა განვითარება და სწავლაში მდგრადი გაუმჯობესება მივიღოთ, უნდა გავზარდოთ არა მხოლოდ სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, არამედ მათი ხარისხიც (Yoshikawa, et, el., 2016).

ჩვენი ქვეყნის 2017-2021 წლების განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის მიხედვით, მნიშვნელოვანგამოწვევად რჩება სკოლამდელ დაწესებულებში დასაქმებულ აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე: „აღმზრდელების საშუალო ასაკი 40-დან 47 წლამდეა, საიდანაც მხოლოდ 32.2%-ს აქვს უმაღლესი განათლება სკოლამდელი განათლების სფეროში, 35.4%-ს - პროფესიული, ხოლო 32%-ს არ აქვს ამ დარგში განათლება“ (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017)

მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად, პოლიტიკოსები სულ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ აღმზრდელების კვალიფიკაციაზე და მოითხოვენ, რომ მათ ჰქონდეთ მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი, უმჯობესია ბავშთვთა ზრუნვის მიმართულებით (Early et. Al., 2007). შვიდი ძირითადი კვლევა ბავშვთა ადრეული ზრუნვისა და განათლების შესახებ გამოყენებულ იქნა სწავლების ხარისხის და სარგებლის პროგნოზირებისათვის. კვლევების შედეგად დადგინდა ნულოვანი კავშირი ამ ორ საკითხს შორის. მხოლოდ აღმზრდელების განათლების დამადასტურებელი ხარისხი საკმარისი არ

არის ბავშვთა აკადემიური ხარისხის მაქსიმალიზაციისა და სწავლების დონის ზრდისთვის. ამის ნაცვლად, ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების ეფექტურობის ამაღლება, სავარაუდოდ, საჭიროებს პროფესიონალურად ჩამოყალიბებული აქტივობების ფართო სპექტრს და აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ჯანსაღი ურთიერთობის მხარდაჭერას (Early et. el., 2007).

საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა საფუძველი უნდა ჩაუყარონ აღსაზრდელების აქტიურობას და მიღწევებს, რადგან ისინი, ყველა თავისი გზით, სავსე არიან განვითარების შესაძლებლობებით (Kimberley A. Arbeau, & Robert J. 2007). მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშიც მოუწოდებდნენ სახელმწიფოს, მეტი ყურდღება გაემახვილებინა საბავშვო ბაღებისთვის. მათ უნდა წაახალისონ აღსაზრდელები სიმღერისკენ, თამაშისკენ, შენებისკენ, ცეკვისკენ და ყოველგვარი სხვა აქტივობისკენ. მშობლებმა შვილები უნდა ატარონ საბავშვო ბაღში, ხოლო სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მათ მნიშვნელობას წარმატებული ახალგაზრდების ყოლისთვის (Hill, 1987).

არაერთი კვლევა ჩატარებულა აღმზრდელთა ტრენინგებთან დაკავშირებით. 2011-2013 წლებში დანიის სამი მუნიციპალიტეტის 29 ბაღში (ასევე 29 კონტროლირებადი) განხორციელდა ინტერვენცია იმის დასადგენად, თუ რამდენად გაუმჯობესდებოდა აღზრდის ხარისხი აღმზრდელების მიერ ტრენინგების გავლის შემდეგ. პროგრამის მიზანი იყო ბაღის აღსაზრდელების სოციო-ემოციური განვითარების გაუმჯობესების ხელშეწყობა, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ბავშვებში. VIDA ინტერვენციის ფარგლებში პედაგოგებმა ტრენინგებით ისწავლეს ახალი აქტივობები და ბავშვის განვითარების საკითხები, როდესაც დანარჩენ კონტროლირებად ბაღებში აღმზრდელებს მსგავსი ტრენინგები არ გაუვლიათ. შედეგებმა აჩვენა საგრძნობი გაუმჯობესება, რომელიც გაიზომა SDQ (სტრესისა და სირთულეების შესახებ კითხვარი) სკალით, თუმცა კვლევის ანალიზმა არ აჩვენა აშკარა გაუმჯობესება სოციალურად დაუცველ ბავშვებში (Jensen, Jensen, & Rasmussen, 2017)

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის პრობლემებიც, რომელთაც სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელები აწყდებიან აღსაზრდელთა პროფესიული თამაშების განვითარების და ხარისხის კუთხით. 2016 წელს მინსკში ჩატარებულ კვლევაში საბავშვო ბაღების 525-მა აღმზრდელმა მიიღო მონაწილეობა. კვლევა მოიცავს მონაცემებს აღმზრდელთა დამოკიდებულებების შესახებ აქტივობების და მათი აღსაზრდელებზე გავლენის საკითხში. კვლევისას გამოიკვეთა შემდეგი ასკეპქტები: აღმზრდელთა თამაშის წარმოების უნარები; განათლების გადაცემის პერსონალური პროცესი; ბავშვებთან თანამშრომლობის კომპეტენცია; აღმზრდელთა ორიენტაცია თამაშისას და აღმზრდელთა გამოცდილების შესაბამისობა თამაშების მნიშვნელობის საკითხთან (Legankovaa & Nedvetskaya, 2016)

ესტონეთში ჩატარებულმა კვლევამ საბავშვო ბაღების აღმზრდელებთან გვიჩვენა, რომ აღზრდელებს ძალიან კარგად აქვთ გააზრებული „საჭიროების მქონე ბავშვების“ მნიშვნელობა. ისინი თავის ჯგუფებში მუდმივად აკვირდებიან ბავშვების საეჭვო ქცევებს და ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში აქვთ შეტყობინების დიდი გამოცდილება. აღმზრდელები აფიქსირებენ, რომ ბავშვის მიმართ ემოციური ძალადობის კვალის ამოცნობა ბევრად რთულია, ვიდრე ფიზიკურის (Toros & Tiirik, 2016)

კვლევისთვის მნიშვნელოვანია, განვიხილოთ რეფერირება/რეაგირების პროცესების უცხოური გამოცდილება საბავშვო ბაღებში ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის დროს. 2009 წელს ტაივანში ჩატარდა კვლევა, რომელმაც მოიცვა 3 საბავშვო ბაღის 20 პედაგოგი. მონაცემების ანალიზისას განვითარდა თეორიული მოდელი, რომელსაც „ზღვარზე ცეკვა“ ეწოდა. აღმზრდელების აზრით, ძალადობის ნიშნების აღმოჩენის დროს, რეფერირების პროცედურა ადვოკატირებასა და რისკებს შორის ზღვარზე ცეკვას ჰგავს, რაც არ არის მარტივად დაბალანსებადი. აღმზრდელთა „საეჭვო“ აღსაზრდელებთან და მშობლებთან ურთიერთობის პროცესში თავს იჩენდა შემდეგი საკითხები: 1. ურთიერთობის შენარჩუნება მშობლებთან 2. ზიანის თავიდან აცილება 3. ვალდებულება და 4. ბალანსის შენარჩუნება. ზიანის თავიდან არიდების მცდელობისას, აღმზრდელები გრძნობდნენ მშობლებთან ურთიერთობის შენარჩუნების ვალდებულებას. ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირება

ბევრად მეტია, ვიდრე სამართლებრივი მოთხოვნა. ეს არის სოციალური პროცესი, რომელიც მოიცავს ცეკვას ადვოკატობასა და პირად უსაფრთხოებას შორის. უმნიშვნელოვანესია კრიტიკული ანალიზი ბავშვთან, სისტემასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში (Feng J. Y., Shu-Jung Chen, Nancy C. Wilk, Wan-Ping Yang, & Susan Fetzer, 2009)

სკოლამდელი სააღმზრდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულების გარდა, აღნიშნული საკითხი მწვავედ დგას სხვა სფეროში მოღვაწე სპეციალისტებთანაც. 2018 წელს განაში ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა 20 რადიოგრაფი სხვადასხვა კლინიკებიდან. კვლევის მიზანი იყო ბავშვთა მიმართ ძალადობის კვალის იდენტიფიცირების და რეაგირების ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა. კვლევამ აჩვენა, რომ აშკარა იდენტიფიცირებისას რეფერირების პროცედურას ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები: კულტურული სოლიდარობა, ხალხში გავრცელებული ცრურწმენები და პოლიციის მხრიდან იმედგაცრუება. რადიოლოგებმა გამოხატეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შიში მშობლების მხრიდან, ძალადობის რეფერირების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ზოგს პაციენტებზე ძალადობის კვალის რეაგირების გამოცდილება უკვე ჰქონდა, რაც შიშის საფუძველს იწვევდა. კვლევის პროცესში გამოიკვეთა რადიოლოგების ინფორმირებულობის ამაღლების აუცილებლობა, ცრურწმენების და კულტურული ფასეულობების წინააღმდეგ წასვლა და პოლიციის მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს განაში რეფერირების პროცედურებს (Antwi W.K. Reeves P. Ferris C. & Aziato L., 2018).

2.2. ბაგა-ბაღებში ბავშვთა დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები საქართველოში

ბავშვის ჯანსაღი ბიოფსიქოსოციალური განვითარების ხელშესაწყობად, სკოლამდელი დაწესებულებებისთვის სახელმწიფომ შექმნა ბერკეტები ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შემდეგი დოკუმენტაციის გაანალიზება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის და სახალხო დამცველის ბოლოდროინდელი კანონი და ანგარიშები,

საქართველოს 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია და თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების მართვის სტრაგეტია. აღნიშნული დოკუმენტები გვაწვდის ამომწურავ ინფორმაციას სკოლამდელ სააღმრზდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა დაცვის მიმართულების შესახებ.

საქართველოში სკოლამდელი აღზრდის და განათლების სფეროში მასშტაბური ცვლილებები 2015 წლიდან დაიწყო, რა დროსაც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი“. პროგრამის მიხედვით, დაიწყო აღმზრდელთა გადამზადება, მათთვის შეიქმნა აქტივობების კრებული. აღნიშნული პროგრამა დაინერგა თბილისის 171, ხოლო რეგიონების 180 სკოლაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, 2015)

აღსანიშნავია, რომ 2016 წლამდე ჩვენი სკოლამდელი დაწესებულებები მხოლოდ სააღმზრდელო ფუნქციას ასრულებდნენ და ორიენტირებულნი იყვნენ ბავშვის მოვლაზე. აღნიშნულ პერიოდამდე, დაწესებულებებში იგნორირებული იყო განათლების კომპონენტი. გამომდინარე აქედან, დაბალი იყო ბავშვების სკოლისათვის მზაობის დონე. „ჩვენი ქვეყნის ზოგადი განათლების არადამაკმაყოფილებელი ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორედ დაბალი სასკოლო მზაობაა“. 2016 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“. კანონმა მთლიანად შეცვალა სახელმწიფოს მიდგომები ადრეული და სკოლამდელი განათლებისადმი (საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“, 2016). მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ მასში არსებული მიდგომები, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ, ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირებისკენაა მიმართული. კანონში არსებულ ბავშვთა დაცვის მუხლში (6) მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ის საკითხები, რომლებიც ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, დაწესებულების და სპეციალისტების ვალდებულებებს ეხება. კანონი დაწესებულებაში დასაქმებულ პერსონალს ავალდებულებს: როგორც თავად იყენებდნენ

არაძალადობრივი აღზრდის მეთოდებს, ისე ჰქონდეთ ინფორმაცია ძალადობის შედეგების და მასზე პასუხისმგებლობის ფორმების შესახებ; დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ძალადობის თავიდან არიდება, მისი იდენტიფიცირება, შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეფერირება; კანონის მიხედვით, რეფერირების პროცედურების შეუსრულებლობა პერსონალს პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს კანონით დადგენილი წესით; კანონი დაწესებულებებს ავალდებულებს, გამოყონ შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაიცავს ბავშვებს ძალადობისგან.

საქართველოს 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში კი გაანალიზებულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების საკითხები, არსებული ვითარება და გამოწვევები. სტრატეგიის მიხედვით, სასკოლო მზაობის პროგრამის ამოქმედების მიუხედავად, სკოლამდელი განათლების გამართვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ეს კი გამოწვეულია წლების განმავლობაში საგანმანათლებლო სტანდარტების და პროგრამების არარსებობით. სკოლამდელი განათლების მიზნის მისაღწევად - უზრუნველყოს უწყვეტი ხარისხიანი განათლება ყველასათვის, განათლების სამინისტროს სტრატეგიამ განსაზღვრა შემდეგი სტრატეგიული ამოცანები აღნიშნული წლებისთვის: პროგრამები აღსაზრდელებისთვის ფიზიკური, ემოციური, კოგნიტური, სოციალური და გარემოში ორიენტაციის მიმართულებით უნარების განვითარებისთვის; მეთოდოლოგიური მასალის მოდულების უზრუნველყოფა აღმზრდელებისთვის და მშობლებისთვის ბავშვთა განვითარებისა და დაცვის საკითხებში ინფორმირებულობის ასამაღლებლად; სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომლებს შესაბამის სახელმწიფო და ადგილობრივ სტრუქტურებთან პერსონალის მომზადება/გადამზადების პროგრამების, პროფესიული სტანდარტებისა და ტრენინგ-მოდულების შექმნისა და განხორციელების მიზნით; განათლებისა და მეცნიერების სისტემაში მხარდაჭერილი იქნება სკოლამდელი განათლების სპეციალისტების მომზადებისთვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დანერგვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამებისთვის

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2017)

მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ „თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის“ დოკუმენტი (2011), რომელიც დამტკიცებულია ააიპ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ. დოკუმენტში შეგვიძლია ხაზგასმით გამოვყოთ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პერსონალთა კვალიფიკაცია და დოკუმენტაცია; თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები; ძალადობის ამოცნობა და რეაგირება; მშობლისა და აღმზრდელის რეგულარული კონტაქტი; ბაგა-ბაღის პერსონალის გადამზადება (ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია, 2011)

ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია ავალდებულებს პერსონალს, იცნობდნენ საკუთარ უფლება-მოვალეობებს და ასრულებდნენ მათ მუშაობის პროცესში. დოკუმენტში ხაზგასმულია ძალადობის საკითხი. აღმზრდელს უნდა შეეძლოს აღსაზრდელში ძალადობის ნიშნების ამოცნობა და, შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, სათანადო რეაგირება. ამ მიზნის მისაღწევად, აღმზრდელები ვალდებულნი არიან, შეეძლოთ ძალადობრივი კვალის ამოცნობა აღსაზრდელის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქო-სოციალური გამოხატულებებით.

აღნიშნული დოკუმენტი აღმზრდელებს ავალდებულებს, რომ იცნობდნენ ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. მიზნის მიღწევის გზად განხილულია აღმზრდელთა გადამზადების საკითხი - პერსონალმა უნდა გაიაროს შესაბამისი სამდღიანი ტრენინგი ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის შესახებ.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშზე, რომელიც ეხება ძალადობასა და არასათანადო მოპყრობას სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში. ანგარიშში ნახსენებია, რომ ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა მოიცავს „სხეულებრივ“/„ფიზიკურ“ თუ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, რომელიც

შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, თუმცა ნებისმიერი მათგანი დამამცირებელ მოპყრობად ითვლება (საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015)

დოკუმენტში განხილულია ბაგა-ბაღების მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრობლემატური საკითხები. კერძოდ, აღმზრდელთა მხრიდან ბავშვთა დაცვის რეფერირების პრაქტიკაში გამოყენების დაბალი მაჩვენებელი. აღმზრდელთა 90% არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნული პროცედურის შესახებ, ხოლო ისინი, ვინც ფლობენ ინფორმაციას, თვლიან, რომ გადამისამართება მხოლოდ ძალადობის მძიმე და განმეორებითი ფორმების შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს.

დოკუმენტში პრობლემატიკად გამოკვეთილია შემდეგი საკითხები: ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი პერსონალის დაბალი ინფორმირებულობის დონე და გამოცდილება ბენეფიციართა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების/რეფერირების პროცედურისა და აღსაზრდელთა მიმართ ყველა სახის არასათანადო მოპყრობის პრევენციის სფეროში.

ამასთან ერთად, ანგარიშში ნახსენებია, რომ აღმზრდელთა განცხადებით, მათ აესაჭიროებათ სასწავლო კურსები და კვალიფიკაციის ამაღლება ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენის, პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების საკითხებში.

აღნიშნული დოკუმენტი რეკომენდაციას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს - გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურის სრული დანერგვისა და ამოქმედების, ასევე, შესაბამისი პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდის უზრუნველსაყოფად.

კვლევის დიზაინი

მიზანი: ნაშრომის მიზანია, იკვლიოს, თუ რამდენად ხორციელდება თბილისის საჯარო ბაგა–ბაღებში ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობის, რეაგირების და რეფერირების პროცედურები ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

ამოცანები

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია შემდეგი საკითხები:

1. ბაგა–ბაღის აღმზრდელების ინფორმირებულობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ძალადობის ამოცნობის, რეაგირების და რეფერირების პროცედურების შესახებ და ამ მიმართულებით მათი ინფორმაციის ამაღლების შესაძლებლობა;
2. აღმზრდელთა წარმოდგენები ძალადობის შესახებ - რას თვლიან ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობად და მათი შესაბამისობა არსებულ სახელმწიფო სტანდარტებთან და რეგულაციებთან
3. პროფესიული საქმიანობისას აღმზრდელების მიერ რეალურად განხორციელებული ქმედებები – ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობის, რეაგირება–რეფერეირების განხორციელებული პროცედურები

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის ჩატარებისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ, რომელმაც საშუალება მოგვცა, კვლევაში მონაწილე რესპონდენტებისგან მიგვეღო საკითხისადმი ღრმა და დეტალური ინფორმაცია.

კვლევაში ჩართული იყო თბილისის 15 საჯარო ბაგა-ბაღის: 15 აღმზრდელ-პედაგოგი, 5 ფსიქოლოგი და 5 დირექტორი; 5 სახელმწიფო სოციალური მუშაკი, კერძოდ თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოებიდან; კვლევის ფარგლებში დაგეგმილი იყო ინტერვიუს ჩაწერა ორ ექსპერტთან, კერძოდ - თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების სააგენტოს წარმომადგენელთან და UNICEF კონსულტანტთან ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში. თუმცა, ინტერვიუ შედგა მხოლოდ ერთ ექსპერტთან - UNICEF წარმომადგენელთან. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელთან ინტენსიურად ხორციელდებოდა სატელეფონო ზარები ინტერვიუს თაობაზე. ასევე, გაიგზავნა წერილი უნივერსიტეტიდან დეტალების შესათანხმებლად, საბოლოოდ, ინტერვიუს ჩაწერის თაობაზე სააგენტოს ხელმძღვანელისგან მივიღეთ უარი.

კვლევის მიმდინარეობა:

კვლევა მიმდიანრეობდა 2019 წლის მარტიდან ივლისის თვემდე. საბავშვო ბაღებში ინტერვიუები ჩატარდა: აღმზრდელ-პედაგოგებთან, ფსიქოლოგებთან და დირექტორებთან. ექსპერტთან ინტერვიუ შედგა მის სამუშაო ადგილებზე. ინტერვიუები, საშუალოდ, გრძელდებოდა 45 წუთიდან 75 წუთამდე. ინტერვიუების მიმდინარეობის პროცესში, გამოყენებულ იქნა აუდიო ჩამწერი. ჩანაწერის შესახებ წინასწარ ინფორმირებული იყო თითოეული რესპონდენტი.

კვლევის შეზღუდვა:

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩატარდა მხოლოდ თბილისის მასშტაბით. კვლევაში მონაწილე რესპონდენტების პასუხები არ იძლევა ზოგად წარმოდგენებს ქვეყნის მასშტაბით არსებულ სკოლამდელ საგანმანათლებლო და სააღმზრდელობო დაწესებულებებში ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობის, რეაგირების და რეფერირების მიმდინარე პროცედურების შესახებ. ამასთან ერთად, გამოყენებული თვისებრივი კვლევი არ გვაძლევს მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებას.

კვლევის შედეგების ანალიზი

საკმაოდ საინტერესო იყო არსებული საკითხის შესწავლა და გაანალიზება. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეჯამების და ანალიზის შედეგად, დაგროვდა საკმაოდ საინტერესო მასალა, გამოიკვეთა პრობლემის სიმწვავე და აქტუალობის მიზეზები. ინტერვიუების გაანალიზების შედეგად, სკოლამდენ სააღმრზდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობის, რეაგირების და რეფერირების მიმართულებებით, გამოიკვეთა შემდეგი სახის სირთულეები:

ინფორმირებულობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში აღმზრდელთა ინფორმირებულობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით, შეგვიძლია გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება. მიმართულებები გამოიკვეთა აღმზრდელებთან შეკითხვის ორგვარი ინტერპრეტაციით დასმის შედეგად. აღმზრდელთა მიმართ დასმული შეკითხვის შემთხვევაში, გავლილი აქვთ თუ არა ტრენინგი ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის შესახებ, პასუხი ერთგვაროვანია. მათი უმეტესი ნაწილი საერთოდ არ ფლობს თეორიულ ინფორმაციას აღნიშნული დოკუმენტის შესახებ. საჯარო ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია კი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დებულებებს, რომლებიც უშუალოდ ბავშვთა კეთილდღეობასა და მათ ჯანსაღ ზრდა-განვითარებაზეა ორიენტირებული. დოკუმენტში ასევე ერთიანდება პერსონალის ვალდებულებები ძალადობის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების შესახებ. არსებული დოკუმენტი საჭირო ინფორმაციას აწვდის აღმზრდელებს, თუ როგორ უნდა ამოიცნონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი გარეგნული ნიშნებისა თუ ქცევითი გამოხატულებების მიხედვით. აღსაზრდელთა საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის, აქვეა

საუბარი ძალადობის კვალის გამოვლენისას, რეფერირების პროცედურაზე და, ასეთ შემთხვევებში, მათ ვალდებულებებზე. თუმცა, ბაგა-ბაღების გამოკითხულ აღმზრდელთა უმრავლესობას საერთოდ არ აქვს ინფორმაცია არსებული დოკუმენტის შინაარსის შესახებ.

დოკუმენტის შინაარსის შესახებ აღმზრდელთა ინფორმირებულობის კუთხით, არც ბაგა-ბაღების დირექტორები ფლობენ ინფორმაციას. ინტერვიუების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ბაღების მართვის სტრატეგიის დოკუმენტის აღმზრდელების მხრიდან ცოდნა, მათ შორის, ბავშვთა დაცვის მიმართულებით არსებული საკითხების შესახებ, არ კონტროლდება.

მეორე მხრივ, აღმზრდელთა, ფსიქოლოგთა და დირექტორთა მიმართ დასმული შეკითხვისას, თუ რა დაეხმარებოდათ ბავშვთა დაცვისთვის საჭირო პროცედურების წარმართვაში, პერსონალი თავად ასახელებს ტრენინგების საჭიროებას. ინტერვიუებიდან გამომდინარე ჩანს, რომ პერსონალს არ უტარდება არანაირი ტრენინგი ბაღების მართვის სტრატეგიის დოკუმენტის გაცნობის შესახებ. ხოლო ტრენინგები, რომლებიც ჩატარებულა აღმზრდელებისთვის ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და რეფერირების თემაზე, არ არის სავალდებულო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. აღნიშნულ ტრენინგებს ესწრებიან მხოლოდ ის აღმზრდელები, რომლებიც გაწევრიანებული არიან პროფესიულ კავშირებში და ყოველ ტრენინგში იხდიან შესაბამის ღირებულებას. პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული ტრენინგების შინაარსიც. აღმზრდელთა მცირე ნაწილი, რომელიც დასწრებია აღნიშნული დოკუმენტის გაცნობის შესახებ ტრენინგს, აფიქსირებს, რომ ყურადღებას, უმეტესად, ამახვილებდნენ ინკლუზიურ განათლებაზე და მცირე რამ იყო ნათქვამი ძალადობის იდენტიფიცირებისა თუ რეფერირების საკითხებზე.

აღმზრდელთა უმეტესი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას დოკუმენტში არსებული პუნქტის არც იმ ნაწილის შესახებ, სადაც უშუალოდ ძალადობის იდენტიფიცირებასა და რეაგირებაზეა საუბარი. ისინი იცნობენ ძალადობრივი ქცევის შედეგების, უმეტესად, მწვავე სახეებს. რეფერირების ფორმებზე კი ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ.

აღმზრდელები აფიქსირებენ, რომ ტრენინგებით ძალადობის თემატიკაზე ინფორმირებულობის ამაღლება უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ მათთვის, არამედ მშობლებისთვისაც. მათი ინფორმაციით, უმეტესად, მშობლები ავლენენ ინფორმირებულობის ძალაინ დაბალ დონეს ბავშვის მოვლის და ზრდა-განვითარების საკითხებში. მათ არ იციან, ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობას რა გავლენის მოხდენა შეუძლია ზრდა-განვითარების პროცესზე. აღმზრდელთა ნაწილი აქ მედია-სივრცესაც აკისრებს პასუხისმგებლობას. მათი აზრით, მასობრივი სახე უნდა მიეცეს მშობელთა ინფორმირებულობაზე ზრუნვას. ერთ-ერთი აღმზრდელი მშობლების ინფორმირებულობის საჭიროების სიმწვავისთვის იხსენებს შემთხვევას, როდესაც საკუთარი აღსაზრდელისგან გაიგო, რომ პაპამისი ბავშვს თამბაქოს მოხმარების საშუალებას აძლევდა:

„მიდგომა ბევრმა არ იცის მართლა, როგორ აღზარდონ ბავშვი, არ იციან. მეტსაც გეტყვი, ბავშვმა თვითონ მომიყვა, როგორ აწევინებდა სიგარეტს პაპამისი, როცა მასთან ჩადიოდა სოფელში. თურმე პაპა ეუბნებოდა, მოწიე ახლა და რომ გაიზრდები, მერე აღარ მოწევ, ახლა შეგაძულო, ჯობიაო (იცინის). ამის შესახებ მშობელს რო ვკითხე, იცოდა ეს ინფორმაცია და სერიოზულად არც აღიქვამდა“. - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

რეალურად, ბავშვთა მიმართ ძალადობის გავლენის შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობას ასევე ადასტურებს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის 60% ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება ბევრად შედეგიანია (UNICEF, 2013).

მშობლების ინფორმირებულობის საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა ექსპერტის მოსაზრებაც სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციის შესახებ. ექსპერტის აზრით, მშობლებს, უმეტესად, სამსახურების გამო შეჰყათ ბავშვი სკოლამდელ დაწესებულებაში. მათი მიზანია ბავშვების დაკავება გასართობი საშუალებებით, მათთვის ტუალეტის და შუადღის ძილის მოწესრიგება. მთლიანად იგნორირებულია თავად მშობლების მხრიდან დაწესებულებებში განათლების საკითხი. მისი ინფორმაციით, საჯარო ბაგა-ბაღების გარდა,

თუ ოჯახს მატერიალური შესაძლელობა ხელს უწობს, მაქსიმალურად ცდილობენ ბავშვის კერძო, ინფრასტრუქტურით მომხიბვლელ ბაღებში შეყვანას, სადაც სრულიად კონტროლის გარეშეა დაწესებულებების მართვის სტრატეგიები.

აღმზრდელთა ინფორმირებულობის კუთხით საინტერესოა ექსპერტის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, აღმზრდელები არანაირ ტრენინგს ან გადამზადებას არ გადიან ბავშვთა დაცვის მიმართულებებით, რის გამოც, ამ სისტემაში მომუშავე პერსონალიც ისეთივე ცოდნის მატარებელია ბავშვთა დაცვის მიმართულებით, როგორიც ნებისმიერი მოქალაქე შეიძლება იყოს:

„თუ აკლიათ მათ ინფორირებულობა, აკლიათ იმიტომ, რომ არავინ არ აწვდის. მათ არანაირი გადამზადება არ გაუვლიათ და ისინი, ვინც ბაღში არიან დასაქმებული, ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან. ისეთივე ცოდნა და ცნობიერება აქვთ ბავშვთა დაცვის საკითხებში, როგორც რიგით მოქალაქეებს და არა ისეთი, როგორიც ამ სისტემაში მომუშავეს უნდა ჰქონდეს. ისეთივე რწმენები აქვთ ძალადობაზე, როგორიც საზოგადოების 60%-ს. თუ ღრმად ჩაეძიებით, მათი აზრითაც, აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს მოაქვს პოზიტიური შედეგები და ამის მყარად სწამთ“ - ექსპერტი.

2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის მიხედვით, „აღმზრდელთა 40%-ს არ აქვს გავლილი არანაირი ტრენინგი და განათლება ათწლეულების წინ აქვთ მიღებული. რაც შეეხება აღმზრდელების განათლებას, მათ მხოლოდ მცირე ნაწილს (21.2%) აქვს რაიმე ტიპის განათლება სკოლამდელ აღზრდის ან პედაგოგიურ სფეროში, და უმეტესობას (72.3%) არ აქვს გავლილი არანაირი პროფესიული გადამზადების კურსი და ტრენინგი“ (2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017).

ექსპერტის ინფორმაციით, ძალადობის მიმართ აღმზრდელთა ცნობიერება და თავად მათი პიროვნული ღირებულებები წარმოადგენს უდიდეს სირთულეს:

„დარწმუნებული ვარ, უმეტესად, აღმზრდელები არა თუ იცავებს ბავშვებს ძალადობისაგან, არამედ შეიძლება თვითონვე იყვნენ წყარო ძალადობის. როგორც მაგალითად სკოლაში,

სადაც მიუხედავად განათლების სამინისტროს უამრავი ტრენინგისა მასწავლებლებთან, შარშან სახალხო კვლევამ მაინც აჩვენა, რომ ბავშვები ისევ განიცდიან ძალადობას მასწავლებლების მხრიდან". - ექსპერტი.

ექსპერტის მოსაზრებით, იმ სექტორში, სადაც, ჯერ არც დაწყებულა იმ ტიპის ინტენსიური ტრენინგები, როგორიც სასკოლო სისტემაშია, სამომავლო მდგომარეობის წარმოდგენა ძალიან მძიმეა. ექსპერტს, ამ კუთხით მოჰყავს საერთაშორისო გამოცდილების მაგალითი. მისი ინფორმაციით, განვითარებულ ქვეყნებში არსებობს შიდა პროცედურებით კონტროლირებული ბავშვთა დაცვის სტანდარტები: ის, თუ როგორ ირჩევა აღმზრდელი გასაუბრების დროს; რა მიდგომები აქვს დაწესებულებას თავად ბავშვის აღზრდის საკითხებში; რამდენად ითხოვენ ნასამართლეობის ფორმას კადრის შერჩევის დროს; რამდენად იცის აღმზრდელმა ქცევის მართვა პოზიტიური მეთოდებით; როგორია მისი ცნობადობა ძალადობის მაიდენტიფიცირებელი ნიშნების და რეფერირების პროცედურების შესახებ; როგორ აქვს თავად დაწესებულებას გაწერილი ძალადობის შემთხვევის მართვა; ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენისას, ვინ არის პასუხისმგებელი, რომ ეს საფუძვლიანიანად აქციოს. ექსპერტის მოსაზრებით, ინფორმირებულობის კუთხით, ეს ის საკითხებია, რაშიც ძალიან სუსტია ჩვენთან არსებული მდგომარეობა.

ექსპერტის დასკვნით, იმისათვის, რომ ინფორმირებულობის კუთხით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა გამოყონ შესაბამისი ბიუჯეტი სკოლამდელ დაწესებულებებში მეთოდოლოგიური ნაწილის გასამართად, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებასაც ბავშვთა დაცვა უნდა წარმოადგენდეს. რადგან დაწესებულებები მათ ექვემდებარება და არა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მათ უნდა დაევალოთ, ბიუჯეტში ჩადონ საკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის მასობრივი გადამზადება, რათა მოხდეს მათი ინფორმირებულობის ამაღლება ძალადობის ამოცნობის და შესაბამისი რეაგირების შესახებ. ამასთან ერთად, ექსპერტი საუბრობს თავას ტრენინგების ხარისხზე, თუ რამდენად იქნება ისინი ორიენტირებული რეალურ მიზანზე, რამდენად იმუშავებს ისინი აღმზრდელთა ღირებულებების

გადაფასებაზე ძალადობის მიმართულებით. ამასთან ერთად, მსგავსი სახის პროგრამების მიზანი უნდა იყოს არა პერსონალის დასჯა, არამედ თანამშრომლობა, სწავლება. ამისათვის, მისი რეკომენდაციით, აუცილებელია, რომ სკოლამდელი დაწესებულებებისთვის შეიქმნას ეროვნულ დონეზე დამტკიცებული კურიკულუმი, რომლის მიხედვითაც გადამზადდება პერსონალი და სავალდებულო გახდება მათთვის ბავშვთა დაცვის მიმართულებების არა მხოლოდ ცოდნა, - განხორციელებაც :

„ბავშვთა დაცვის და კეთილდღეობის სფეროში ლიმიტირებული უნდა იყოს სკოლამდელ სააღმზრდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ტრენინგების ჩატარება. ამის საშუალება უნდა მიეცეთ მხოლოდ პროფესიონალ კადრებს და არა ყველას, ვისაც რაღაც გაურკვეველი სახის სერტიფიკატი უჭირავს ხელში“- ექსპერტი.

ინფორმირებულობის ნაკლებობის სიმწვავე ჩანს აღმრზდელთა შეხედულებებში ძალადობის ფორმების შესახებ. აღმზრდელთა წარმოდგენები ძალადობის აღქმასთან დაკავშირებით დაფიქსირდა შეკითხვაზე პასუხების ანალიზის შედეგად, თუ, მათი აზრით, რა სახის ძალადობის იდენტიფიცირების შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს რეფერირება. აღმზრდელთა თითქმის სრული ნაწილი აფიქსირებს, რო შესაბამის უწყებებს უნდა ეცნობოთ მხოლოდ ძალადობის ფიზიკური და განმეორებითი შემთხვევების დროს. გამომდინარე მათი ღირებულებებიდან, ფაქტობრივად, არ ხორციელდება რეფერირების პროცედურებიც. პერსონალი ძალადობად არ აღიქვამს ემოციურ ძალადობას და უგულებელყოფას. ამის ნათელი მაგალითია ერთ-ერთი არმზრდელ-პედაგოგის შეხედულებაც:

„ვინ არ უყვირის ბავშვს აღზრდის დროს? - ეგ მითხარით. ახლა დაიწყეს ეს, ყველაფერს ძალადობას არქმევენ, თორემ ადრე პირიქით, ბავშვებს მკაცრად ვზრდიდით, რომ უფროსის რიდი ჰქონოდათ და დაეჯერებინათ. სიმართლე გითხრათ, ამ ახალ მიდგომაში მე კარგს ვერაფერს ვერ ვხედავ, თქვენც ხედავთ, ველარ ვაჩერებთ ბავშვებს, არ გვიჯერებენ, მაგრამ აბა ხმას აუწიე, - გვეკრძალება“ - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ძალადობის ფორმების შესახებ ღირებულებების სიმწვავე ფიქსირდება ასევე დირექტორებთან ინტერვიუების ანალიზის შედეგად. მათი სრული ნაწილი შეკითხვაზე, თუ რა მიზეზმა შეიძლება შეუშალოს ხელი რეფერირების პროცედურების წარმართვას, აფიქსირებს ძალადობის ფორმების შესახებ შეხედულებების სიმწვავეს. ისინი, პირადი ფასეულობებიდან გამომდინარე, ძალადობად არ აღიქვამენ არაფიზიზიკურ სახეებს. დირექტორების მსგავსი ღირებულებები მიმართვიანობის პროცედურებზეც ისახება, რადგან აღმზრდელები, პირველ რიგში მათ ატყობინებენ ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევებს. დირექტორთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათ აღსაზრდელებში ნაკლებ პრობლემას წარმაოდგენს ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობა და „საეჭვო“ ბავშვის აღმოჩენის დროს, საქმე რეფერირებამდე არ მიდის, რადგან თავად „არეგულირებენ“ მდგომარეობას:

„ბავშვს რომ რაიმე საეჭვოს შევამჩნევთ ქცევაზე, ემოცირად, ვაკვირდებით და თუ რაიმე ისეთია, ვესაუბრებით მშობელს, იმიტომ, რომ მათ ოჯახში რა ხდება და რა ემოციური ფონია, რაც ბავშვზე ისახება, გარედან არ ჩანს. თუ, მაინცდამაინც, ბავშვს სილურჯეები და დაზიანებები ეტყობა, ვარკვევთ მშობელთან და საეჭვოდ თუ აგვიხსნა, მივმართავთ შესაბამის დაწესებულებებს. თუმცა, 5 წელია დირექტორი ვარ და, ჩვენს აღსაზრდელებთან მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა“. - სკოლის დირექტორი.

იდენტიფიცირების სირთულე

ინტერვიუების გაანალიზების პროცესში, გამოიკვეთა აღმზრდელთა მხრიდან ძალადობის იდენტიფიცირების პრობლემა. ძალადობის კვალის იდენტიფიცირების სირთულე, უპირველესად, ისევ ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარეობს. მათ უმეტეს ნაწილ შეუძლია მხოლოდ ფიზიკური ძალადობის კვალის ამოცნობა. ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირების შესახებ თითქმის არ ფლობენ ინფორმაციას. ამ მხრივ, საინტერესოა ბაღების დირექტორთა წარმოდგენებიც. ერთ-ერთი

დირექტორის ინფორმაციით, აღმზრდელებს დიდი გამოცდილება აქვთ ბავშვეთან მუშაობის და აღარ უჭირთ ძალადობის მსხვეპლი ბავშვის ამოცნობა:

„ნებისმიერ ბავშვს ეტყობა მის ოჯახში არსებული ძალადობების ფონი. ბავშვი თუ ძალადობის მსხვერპლია, მას აუცილებლად ეტყობა ფსიქოლოგიურად და ძნელი არ უნდა იყოს აღმზრდელებისთვის იდენტიფიცირება“. - ბაგა-ბაღის დირექტორი.

ერთ-ერთი დირექტორის ინფორმაციით, ძალადობის იდენტიფიცირების დროს აღმრდელები შესაბამის ზომებს იღებენ, კერძოდ, ჯერ ატყობინებენ ბაღის ადმინისტრაციას და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავენ „სოციალურ აგენტს“. თუმცა, მისი ინფორმაციით, ამ უკანასკნელის საჭიროება მისი პოზიციაზე მუშაობის მანძილზე ჯერ არ ყოფილა.

გამოიკვეთა ძალადობის იდენტიფიცირებისთვის თვითნასწავლი გზების გამოყენების მცდელობებიც. მაგალითად, ერთ-ერთი აღმზრდელის თქმით, ხშირად შეუნიშნავს აღსაზრდელების მიერ დახატული მუქი ფერის ნახატები და გაურკვეველი ფიგურები, რაც ბავშვის ოჯახურ ფონთან დაუკავშირებია:

„ოჯახის წევრების დახატვის დროს, ბავშვმა მამა დახატა სადღაც კუთხეში და შავ ფერებში. მათ ოჯახში ასეთი სიტუაცია იყო, მამა გაცილებული იყო ცოლს და იშვიათად მოდიოდა, გაცილების მიზეზი კი ოჯახური ძალადობა იყო. ბავშვმა მაინც დახატა მამა, მაგრამ ასეთი ფორმით, რადგან მუქი ფერებით გამოხატავენ ამ დროს სთქმელს“ - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ექსპერტის ინფორმაციით, ყველა აღმზრდელმა იცის, რომელი ბავშვის ოჯახში რა ფონია და რა ურთიერთობები არსებობს ოჯახის წევრებს შორის, თუმცა ეს პროფესიულ დონეზე რომ განიხილოს, სახელდება მოახდინოს, თუ რასთან გვაქვს საქმე, არ ხდება.

შეკითხვაში, რომელიც ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიურ და ქცევით მახასიათებლებს მოიცავს, აღმზრდელთა უმრავლესობის პასუხები ერთმანეთს ემთხვევა. ისინი ხშირად ამჩნევენ მოწყენილ, დათრგუნულ და შეშინებულ ბავშვებს. ბავშვებს, რომლებიც სულ მცირე ხმაურზეც კი კრთებიან. თუმცა, მათი აზრით, ძალადობის ფიზიკურ

ნიშნებს ინტენსიური სახე უნდა ჰქონდეს, რომ ისინი ძალადობას მივაწეროთ. ერთ-ერთი აღმზრდელი იხსენებს შემდეგ შემთხვევას:

„ბავშვი სიცხეში სამი დღის განმავლობაში დადიოდა შალის ყელიანი სვიტერით და ბოლოს რომ დავაკვირდი, ყელზე ეტყობოდა სილურჯეები. ამის შესახებ ვკითხე მშობელს და მითხრა, რომ ბავშვს უბრალოდ ალერგია მისცა შალმა. ამის შემდეგ ვაკვირდებოდი ამ ბავშვს და მსგავსი აღარაფერი შემინიშნავს“. - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

აღმზრდელები ყველაზე ხშირად ამჩნევენ უგულებელყოფის ნიშნებს, თუმცა აღნიშნულს ძალადობასთან ვერ აკავშირებენ. ყველაზე შემჩნევად ნიშნად ასახელებენ ბავშვებში ჰიგიენის ნაკლებობას. აღმზრდელთა უმეტესობა თანხმდება, რომ არაჰიგიენურობა აღსაზრდელთა დიდი ნაწილის საერთო პრობლემაა და ბავშვები სახლიდან ძალიან ხშირად მოჰყავთ უწესრიგო მდგომარეობაში (მაგ. უსუფთაო სამოსი, დასაჭრელი ფრჩხილები, დასაბანი თმები).

აღმზრდელთა ინფორმაციით, ხშირად შეუნიშნავთ, როდესაც ბავშვი კონრეტულ მეურვეს არ მიჰყვება სახლში და არ უხარია მისი გამოჩენა, თუმცა ეს ნიშანი სხვადასხვაგვარად იქნა გააზრებული ინტერვიუებში. მათი ერთი ნაწილი თვლის, რომ ხშირად ბავშვებს საბავშვო ბაღის გარემო უფრო მოსწონთ, რადგან იქ მეგობრები ჰყავთ და კარგად თამაშობენ. მეორე ნაწილი კი მაინც აკავშირებს ამ გამოხატულებას ბავშვის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრის ეჭვთან. ერთ შემთხვევაში დასახელდა ბავშვი, რომელიც ნებით არ მიჰყვებოდა ორი ბებიიდან ერთ-ერთს, რის მიზეზადაც აღმზრდელი სავარაუდო ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგს ასახელებდა. მეორე შემთხვევა კი შემდეგნაირად აღიწერა:

„ერთი ბავშვი იყო, მამას რომ დაინახავდა ხოლმე წასვლისას, იწყებდა ტირილს და არ მიჰყვებოდა. ეს დედას ვუთხარით და ისე ახსნა, რომ უბრალოდ ბავშვს უნდოდა, დედას წაეყვანა სახლში და არა მამას, იმიტომ, რომ თვითონ რაღაცებს ყიდულობდა მაღაზიაში გაყვანისას და მამა არა“. - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ძალადობის იდენტიფიცირების მიმართულებით აღსანიშნავია დაწესებულებების ფსიქოლოგთა პოზიციაც. გამოკითხულთა სრული ნაწილი აფიქსირებს, რომ ბავშვებში ძალადობის იდენტიფიცირებას მათ დაწესებულება არ ავალდებულებს და მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, დააკვირდებიან თუ არა აღსაზრდელებს ამ მიზნით. გამოკითხული 5 ფსიქოლოგიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა რეალური წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ ძალადობის რისკები ბევრად მაღალია. აღნიშნული კი მთლიანად გვიჩვენებს სურათს ძალადობის საკითხის შესახებ პერსონალის ინფორმირებულობის დონისა. მათი აზრი საკითხთან მიმართებაში, უმეტესად, ერთმანეთის იდენტურია:

„ვფიქრობ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ ოჯახში მეტად ლმობიერი არიან მშობლები, რადგან მათ მეტი ყურადღება, მოთმინების გამოჩენა და შესაბამისი მიდგომები სჭირდებათ. რომ ვაკვირდები ჩვენს ბავშვებს, უმეტესად ყველას ძალიან კარგად ექცევიან მშობლები და ძალადობის მსგავსი რამ არასდროს შემიმჩნევია“. - ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი.

მეორე მხრივ, ფსიქოლოგისგან განსხვავებულ პასუხს აფქსირებს აღმზრდელი და იხსენებს საკუთარ ჯგუფში აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მიმართ მშობლების არაჯანსაღი დამოკიდებულების შემთხვევას. აღმზრდელის ინფორმაციით, ბავშვი 4 წლის განმავლობაში მის ჯგუფში დადიოდა. ამ დროის განმავლობაში აკვირდებოდა, როგორ იყო უგულებელყოფილი აღსაზრდელი:

„ბავშვმა თავიდან დათვლაც იცოდა, ფერებსაც ასხვავებდა და ბევრად აქტიური იყო. მერე ყველაფერი დაავიწყდა, იმიტომ, რომ მშობლები ყურადღებას საერთოდ აღარ აქცევდნენ, ამ დროს ვხედავდი, რომ პოტენციალი დიდი ჰქონდა ამ ბავშვს, მეტის შეთვისება შეეძლო. თან არსად არ დაჰყავდათ, გვირჩევია დღის ცენტრები მშობლისთვის, მაგრამ არც გვისმენდა, გვეუბნებოდა, რომ მის ბავშვს არაფერი განსაკუთრებული არ სჭირდებოდა“. - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ძალადობის იდენტიფიცირების კუთხით, მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების გამოცდილებაც. ყველა მათგანის ინფორმაციით, ბაგა-ბაღებიდან შესული შეტყობინება ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის თემატიკაზე, ძირითადად, მოიაზრებდა ბავშვის აშკარა სხეულებრივ დაზიანებებს და აქედან გამოწვეულ ეჭვს ოჯახური ძალადობის შესახებ.

ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმების იდენტიფიცირების სირთულეს გვიჩვენებს ესტონეთში ჩატარებული კვლევის მაგალითიც. კვლევამ საბავშვო ბაღების აღმზრდელებთან გვიჩვენა, რომ აღზრდელებს ძალიან კარგად აქვთ გააზრებული „საჭიროების მქონე ბავშვების“ მნიშვნელობა. ისინი თავის ჯგუფებში მუდმივად აკვირდებიან ბავშვების საეჭვო ქცევებს და ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში აქვთ შეტყობინების დიდი გამოცდილება. აღმზრდელები აფიქსირებენ, რომ ბავშვის მიმართ ემოციური ძალადობის კვალის ამოცნობა ბევრად რთულია, ვიდრე ფიზიკურის (Toros & Tiirik, 2016)

ინტერვიუებში აღმზრდელთა უმეტესი ნაწილი, ძირითადად, იმეორებს აზრს, რომ აღზრდის ძალადობრივი მიდგომების გამოყენება ძალიან ხშირია იმ ოჯახებში, სადაც სოციალური ფონი მეტად მძიმეა. ამ შემთხვევაში თავს იჩენს ბავშვთა მხრიდან აგრესიული ქცევის გამოვლინებაც, რაც, აღმზრდელთა მოსაზრებებით, მხოლოდ აღზრდის ძალადობრივ მიდგომებს არ უნდა მივაწეროთ:

„მშობელს, ჩვენს რეალობაში, ხშირად არ აქვს ბავშვის ელემენტარული სურვილების დაკმაყოფილების საშუალებაც კი. ეს იწვევს ბავშვის მუდმივ დაუკმაყოფილებლობას და აგრესიული ქცევისკენ მიდრეკილებას“ - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი ფსიქოლოგის მოსაზრებაც. მისი აზრით, მშობლების ინფორმირებულობის დონე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამიზნე ჯგუფების მიხედვით განსხვავდება. მოწყვლად ჯგუფში მშობლები, ძირითადად, ამჯობინებენ აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას. მათ არ აქვთ ინფორმაცია ასეთი აღზრდის შედეგების შესახებ. ფსიქოლოგის აზრით, იმისათვის, რომ მშობელს ძალადობრივი აღზრდის უარყოფითი მხარეები დავანახოთ, საჭიროა ასევე შევთავაზოთ

არაძალადობრივი მიდგომის გზებიც. შესაბამისად, ინფორმირებულობას, როგორც აღზრდის არაძალადობრივი მეთოდების, ისე ბავშვზე ზრუნვის შესახებ, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ექსპერტის მოსაზრებით, ძალადობის იდენტიფიცირების სირთულე პირდაპირ კავშირშია აღმზრდელთა ინფორმირებულობასთან და მათ პირად ღირებულებებთან ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში. მისი რეკომენდაციით, არსებული რეალობის შესაცვლელად, უმნიშვნელოვანესია, დაიხვეწოს სკოლამდელ დაწესებულებებში კადრების აყვანის სისტემა. ბავშვებთან მომუშავე პერსონალის აყვანის პროცესში უნდა ხდებოდეს მათი ღირებულებების შეფასება და ამ საკითხისადმი მათი დამოკიდებულებების ამომწურავი ანალიზი:

„პერსონალის აყვანამდე, ღრმად და ამომწურავად უნდა შეფასდეს მათი ცოდნა ბავშვის ბიო-ფსიქ-სოციალურ ზრდა განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. როდესაც ძალადობის შესახებ დასაქმებული პერსონალის ღირებულებები და შეხედულებებიც არ გვიწყობს ხელს, ძალიან რთულდება ბავშვთა დაცვის პროცედურები“ - ექსპერტი.

აღსაზრდელზე დაკვირვება

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა აფიქსირებს, რომ ბავშვებს მუდმივად აკვირდებიან სხეულზე სილურჯეების და დაზიანებების ამოსაცნობად. ამასთან ერთად, დაწესებულებას აქვს შესაბამისი ცნობის ფორმა, რომელსაც აღმზრდელი და მეურვე ერთობლივად ავსებს ბავშვის სხეულებრივი დაზიანებების შემჩნევისას. ცნობაში ორივე მხარე აფიქსირებს დაზიანების მიზეზებს, აღწერილობას, შემთხვევის აღწერას. ცნობას ხელს აწერენ მშობელი, აღმზრდელი და ექთანი. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაშიც აღწერის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს შესაძლო ძალადობის კვალის ძებნა. ამ ქცევით აღმზრდელები პასუხისმგებლობას იხსნიან მშობლების წინაშე, რომ ბავშვს დაზიანებები

ბაღში შეყვანისთანავე აღმოუჩინონ და მათ არ დაბრალდეთ. ამის მაგალითად ერთ-ერთ აღმზრდელს მოჰყავს შემდეგი სიტუაციის აღწერა:

„ასეთი შემთხვევა მქონდა, ბავშვის მამა მოვიდა ძალინ აღშფოთებული და გაბრაზებული, დალურჯება ჰქონდა ბავშვს და ეს რა არისო, მსაყვედურობდა. მერე თვითონ ბავშვმა თქვა, რომ მამა სახლში წავიქეციო და ბოდიშების მოხდა მოუწია. ასე რომ, თვითონაც არ იციან ზოგჯერ ბავშვი რას იზიანებს სახლში და ჩვენ გვაბრალებენ.“ - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

აღმზრდელები აღიარებენ, რომ სხეულზე დაკვირვებას მხოლოდ აღნიშნული მიზანი აქვს და ადმინისტრაციაც სწორედ ამის გამო ავალდებულებს მათ მუდმივ მონიტორინგს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც იკვეთება იდენტიფიკაციის სირთულე. როგორც ისინი ამბობენ, ორი აღმზრდელი და ერთი ასისტენტი არ არის საკმარისი ბავშვების სხვეულზე მუდმივად დასაკვირვებლად. როცა ბავშვს სხეულის უმეტესი ნაწილი დაფარული აქვს, უფრო ჭირს სავარაუდო ფიზიკური ძალადობის კვალის იდენტიფიცირება.

აღსაზრდელთა ფიზიკურ, ასევე ფსიქო-ემოციურ მახასითებლებზე დაკვირვება საკმაოდ აპრობირებულია განვითარებულ ქვეყნებში. საკითხი მწვავედ დგას განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, რასაც ასევე ადასტურებს 2015 წელს საერთაშორისო ორგანიზაციის - OECD მიერ ჩატარებული კვლევაც. კვლევა ამყარებს ჩვენს რეალობაში არსებულ სურათს. განვითარებად ქვეყნებში, უმეტესად, აღსაზრდელთა სხეულზე დაკვირვებას, კვლევის მიხედვით, რეალურად სხვა მიზანი აქვს. აღმზრდელები, ამ გზით, უბრალოდ ცდილობენ გაამყარონ ფაქტები, რომ ბავშვს სხეულებრივი დაზიანება დაწესებულებაში შეყვანისას აღმოაჩნდ (OECD, 2015).

რაც შეეხება აღმზრდელთა მხრიდან აღსაზრდელის ფსიქოლოგიურ და ქცევით გამოხატულებებზე დაკვირვებას, ამას კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს. აღმზრდელები ხშირად ამჩნევენ ბავშვის უმადობას, მოუწესრიგებელ ძილს, სხვა ბავშვის მიმართ გამოხატულ აგრესიას, თუმცა ყოველივე ამას ოჯახის სოციალურ ფონთან აკავშირებენ და არა რაიმე სახის ძალადობის შედეგთან:

„წარმოიდგინეთ, ბავშვს რომ მუდმივად რაღაც უნდა და მშობელი ვერ ყიდულობს, როგორია? აგრესიული იქნება, აბა, როგორ?“ - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ექსპერტის ინფორმაციით, არსებული სურათის შესაცვლელად, აუცილებელია, დაწესებულებებში არსებობდეს ბავშვთა დაცვის მკაფიოდ გამოყოფილი სტანდარტები. ის, თუ როგორ იცავს დაწესებულება ბავშვს ოჯახური ძალადობისგან და ძალადობის იდენტიფიცირებისას, როგორ უზრუნველყოფს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვას; როგორ ახორციელებს დაწესებულება „საეჭვო“ ბავშვზე მონიტორინგს. ყოველივე ეს, მისი ინფორმაციით, უნდა იყოს მკაცრად სტანდარტიზებული:

„გარდა ამისა, პერსონალის გადამზადების შემდეგ, უნდა ხდებოდეს მათზე დაკვირვება და მონიტორინგი, თუ რამდენად ასრულებს ყველა ამ პროცედურას აღმზრდელი, დამხმარე თუ დირექტორი. ერთია ტრენინგების ნაწილის მოგვარება და, გრძელვადიანი შედეგისთვის მეორე - მონიტორინგი, რამდენად იყენებენ მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში“ - ექსპერტი.

მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ, ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის მიხედვით, ძალადობის იდენტიფიცირებისავის აუცილებელია მშობელსა და აღმზრდელს შორის მუდმივად ხდებოდეს ინფორმაციის გაცვლა. აღმზრდელი, ბავშვის საეჭვო ნიშნების შემჩნევისას, უნდა ინტერესდებოდეს ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობებით და რისკებით. ამ კუთხით, ერთხმად ცალსახა დამოკიდებულება დაფიქსირდა აღმზრდელების მხრიდან. აღმზრდელები გამოყოფენ მშობლების ორ ჯგუფს: 1. რომლებიც ინტერესდებიან ბავშვების ემოციური და ქცევითი გამოხატულებებით და 2. რომლებიც სრულ უგულებელყოფას იჩენენ თანამშრომლობის კუთხით. აღმზრდელები აფიქსირებენ, რომ ინფორმაციის გაცვლას მშობელსა და აღმზრდელს შორის ინდივიდუალური ხასიათი აქვს, თუმცა წელიწადში სამჯერ ტარდება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება ზოგადი პრობლემები და დაგეგმილი ღონისძიებები. ასევე აღსანიშნავია ფაქტი, რომ ინფორმაციის გაცვლის კუთხით, აღმზრდელი, საეჭვო ნიშნების შემჩნევისას (მაგ. ბავშვის აგრესიული ქცევა, არაჰიგიენურობა, მშობლის მიმართ აგრესიის გამოხატვა) დიდად არ თვლის თავს ვალდებულად, ჩაეძიოს მის გამომწვევ მიზეზებს.

ძალადობის მსხვერპლ აღსაზრდელთან ურთიერთობა

გამოკითხულ აღმზრდელთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთ აზრს აფიქსირებს, რომ არ ჰქონიათ არანაირი პირადი შეხება ძალადობის მსხვერპლ აღსაზრდელთან. მიუხედავად სამუშაო სტაჟის რადიკალური სხვაობებისა, პასუხი მაინც ერთგვაროვანია. თუმცა, მორიგი შეკითხვის ინტერპრეტაცია, სმენიათ თუ არა მსგავსი შემთხვევები კოლეგებისგან, არსებულ სურათს რადიკალურად ცვლის. მეტიც, სხვების გამოცდილებაზე საუბრისას, რესპონდენტი იხსენებს საკუთ გამოცდილებასაც. საერთო სურათი საკმაოდ მწვავეა. მაგალითად, ერთ-ერთი სეპონდენტი ასეთ ფაქტს იხსენებს:

„კოლეგებისგან გამიგია, რომ ჰქონიათ ჯგუფში ასეთი შემთხვევები. დედას უთქვამს, რომ მეუღლეს გაურტყამს ბავშვისთვის და დედამ, რა თქმა უნდა გაამართლა მეუღლე, განერვიულებული იყო, სამსახურიდან მოსულიო, ბავშვი ძაან ცელქობდა, ველარ მოზომა და გაარტყაო. მშობელიც ძალიან შეწუხებული იყო, აშკარად რაღაც მოხდა სერიოზული და მშობელმა ვერ მოზომა. თითები ეტყობოდა ბავშვს ლოყაზე (იცინის)“ - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

სხვა აღმზრდელი ასევე იხსენებს სავარაუდო ფიზიკური ძალადობის შემთხვევას ბავშვის მიმართ. შემთხვევის აღწერისას ასევე იკვეთება ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან სათანადო მოპყრობის მიდგომების შესახებ ინფორმირებულობის არარსებობა:

„შარშან მყავდა ჯგუფში ბავშვი, ჩალურჯებები ჰქონდა კისერზე და რომ ვკითხე მიზეზი, მამამ მიქნაო, მითხრა. ისტერიკაში ჩავვარდი მაშინვე, ჩავიყვანე ადმინისტრაციაში, დასვეს ბავშვი, გამოკითხეს. მშობელმა გვითხრა, რა სისულელეა, ასეთი რაღაც არ მომხდარაო. რეალურად, არ ვიცით რა მოხდა, მაგრამ მშობელმა ალერგიას დააბრალა.“ ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ძალადობის მსხვერპლ აღსაზრდელთან ურთიერთობას შესაბამისი ცოდნა და თეორიული ჩარჩო სჭირდება, რათა ბავშვის მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად არ დავამძიმოთ.

არსებულ შემთხვევებში კი იკვეთება ბუნდოვანი წარმოდგენების არსებობა საკითხთან მიმართებაში. ერთ-ერთ ინტერვიუში აღმზრდელი იხსენებს ბავშვის სხეულებრივი დაზიანების კვალის აღმოჩენას, რაც ბავშვმა დაადასტურა, როგორც ანთებული თამბაქოს კვალი. აღნიშნულ დროსაც შემთხვევა ისევ მშობლის მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე შეჯერებით დასრულდა:

„ბავშვს აშკარად სიგარეტით დამწვარ ადგილებს ვამჩნევდი კანზე, მაგრამ ბოლოს მშობელს რომ ვკითხე, მითხრა ვეწეოდი და ამ დროს კალთაში ჩამიჯდაო. ეჭვი აღარ შემიტანია, რადგან ეს ბავშვი ძალიან ცელქია და შეიძლება მართლა ასე ემართებოდა დაზიანებები“. ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

საინტერესოა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მიმართ დამოკიდებულებაც ძალადობის შემთხვევების წარმართვისას. ერთ-ერთი აღმზრდელი იხსენებს, რომ მამა მის წინ აგრესიული ტონით ხშირად ესაუბრებოდა აღსაზრდელს, რომელსაც, შეზღუდული შესალებლობა ჰქონდა. საბოლოოდ, აღმზრდელი მამის გაფრთხილებით შემოიფარგლა, თუ კიდევ განმეორდებოდა აღნიშნული ფაქტი, შესაბამის უწყებას ეცნობებოდა. თუმცა, აღმზრდელის ინფორმაციით, საბოლოოდ მამა მაინც იგივეს აგრძელებდა, თუმცა მის საქმეში აღარ ჩარეულა:

„ცოტა შემეშინდა, რადგან თვითონ ეს კაცი არ გავდა დალაგებულს და სავარაუდოდ კარგი არაფერი მეწეოდა ვინმესთვის რომ შემეტყობინებინა ეს შემთხვევა. თან უბრალოდ ტონის აწევით შემოიფარგლებოდა - ხოლმე“.

რეფერირების პროცედურები

ინტერვიუების გაანალიზების შედეგად გამოივკეთა საბავშვო ბაღებში ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების თითქმის არარსებობა. ზემოთ გაანალიზებული შემთხვევების დროსაც კი, როდესაც სახეზე იყო ბავშვის მიმართ აშკარა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა, რეფერირების პროცედურები არ განხორციელებულა.

გამოკითხული აღმზრდელები, ასეთი შემთხვევების დროსაც კი, შემოიფარგლებიან მხოლოდ ადგილობრივ ფსიქოლოგთან და საბავშვო ბაღის ადმინისტრაციასთან შეტყობინებით. გამოკითხული 15 აღმზრდელიდან, მიუხედავად მათი სამუშაო სტაჟისა, არცერთს არ დაუფიქსირებია შემთხვევის შეტყობინება ბავშვთა დაცვის შესაბამის უწყებებთან. შემთხვევათა შეუტყობინებლობის შედეგად, სკოლამდელ დაწესებულებებში არ იცვლება ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის მიდგომები და არსებული რეალობა.

როგორც აღმზრდელებთან ინტერვიუების გაანალიზების შედეგად ირკვევა, მათი უმეტესი ნაწილი აფისირებს, რომ ბავშვში სავარაუდო ძალადობის კვალის იდენტიფიცირებისას, მიმართავენ ბაღის ფსიქოლოგს ეჭვების დადასტურების ან უარყოფის მიზნით. ფსიქოლოგებთან გასაუბრების შედეგად კი გამოიკვეთა, რომ მათგან მხოლოდ ერთს მიუმართავს შესაბამისი ზომებისთვის ძალადობის იდენტიფიცირების დროს. ამ შემთხვევაშიც სახეზე იყო მხოლოდ აშკარა ფიზიკური ძალადობის კვალი, რომელსაც ბავშვის მონათხრობიც ადასტურებდა:

„აღმზრდელი ამოვიდა ჩემთან, დირექტორიც ჩვენთან ერთად იყო და ადმინისტრაციაც. ბავშვი ამოიმიყვანეს და მაჩვენეს მის სხეულზე არსებული სილურჯეები. ბავშვს რომ გავესაუბრეთ, თვითონვე გვითხრა, რომ მამამ ორი დღის წინ მისივე სათამაშოთი ცემა. სასწრაფოდ დავრეკეთ პოლიციაში და მათ შესაბამისი ზომები მიიღეს“. - ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვების მხრიდან ოჯახში მათ მიმართ ძალადობის შემთხვევებზე საუბარს აღმზრდელები განსხვავებულად აფასებენ. უმეტესი მათგანის აზრით, როდესაც ბავშვს რაიმე ფიზიკურ დაზიანებაზე უმახვილებენ ყურადღებას, ისინი ძალიან ხშირად იგონებენ, რომ დაზიანებები მშობლის მიყენებულია. შესაბამისად, ეს არ არის მათთვის რეფერირების საფუძველი:

„ბავშვები იმდენ რამეს იგონებენ ხშირად, გაგეცინება და გადაირევი ყველაფერი რომ დაიჯერო. მაგალითად, ერთი შემთხვევა მქონდა ბოლოს, ბავშვს ხელებზე ეტყობოდა რამდენიმე ადგილას სილურჯეები და სიყვითლეები და რომ ვკითხე მიზეზი, მითხრა

დედამ მცემაო. დედამ რომ მოაკითხა გაყვანის დროს, ვუჩვენე ეს დაზიანებები და ბავშვის ნათქვამიც ვუთხარი. დედამისს სიცილი არ ეყო, ეზოში ბავშვები თამაშობდნენ ჩკეპლებით და მაგ დროს დაალურჯესო ერთმანეთი". - ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

სავარაუდო ძალადობის კვალის იდენტიფიცირებისას, აღმზრდელების ინფორმაციით, ამჯობინებენ ჯერ თავად მშობლებთან გაარკვიონ შემჩნეული საეჭვო ნიშნები და შემდეგ ჩართონ შესაბამისი უწყებები საქმეში. ამ შემთხვევაში კი, უკანასკნელთან საქმე თითქმის არ მიდის. აღმზრდელი, უმეტესად, შეუმოწმებლად ენდობა მშობლის მიერ დასახელებულ მიზეზებს და ელოდება ერთჯერადად მომხდარი ფაქტის განმეორებითობას.

საინტერესოა ექსპერტის მოსაზრებაც, რომლის მიხედვიაც, სახელწიფოს გააჩნია ძალადობის შესახებ რეფერირების დოკუმენტი, თუმცა სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული რეალობა მაინც არ იცვლება, რადგან შედეგის მიღწევას, უპირველესად, საკითხის სიმწვავის გააზრება სჭირდება შესაბამისი ორგანოების მხრიდან. ექსპერტის აზრით, სკოლამდელი დაწესებულებების მუნიციპალურ გამგეობებთან მიმაგრება და არა მათი ცალკე უწყებად არსებობა ძალიან ართულებს დადებით ცვლილებებზე ფიქრის შესაძლებლობას:

„აქ, სკოლებთან შედარებით, გაცილებით რთულდება რაიმე შედეგზე გასვლა ბავშვთა დაცვის რეფერირების მიმართულებით, რადგან მათზე კონტროლი ბევრად დაბალია. პროგრესი მცირედით მაინც გვაქვს სკოლების შემთხვევაში, თუმცა არაფერი არ ხდება ბაგა-ბაღებთან მიმართებაში, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა გაიაზროს საკითხის სიმწვავე და გაიღოს შესაბამისი რესურსები აღმზრდელთა ინფორმირებულობის ამალების მიზნით ძალადობის რეფერირების წარმართვისთვის". - ექსპერტი.

ექსპერტის ინფორმაციით, დაწესებულებებში რეფერირების პროცედურას მიმართავს მხოლოდ ის, ვისაც განათლება აქვს ბავშვთა დაცვის სფეროში, ყურმოკვრით ესმის შემთხვევების შესახებ ან უბრალოდ სოციალურ პასუხისმგებლობას გრძნობს ამ დროს. მხოლოდ ასეთი პიროვნებები რაგირებენ სისტემაში ბავშვთა მიმართ ძალადობის

შემთხვევებზე. შესაბამისად, ექსპერტის აზრით, აბსოლუტურად პიროვნულ დონემდე დადის სკოლამდელ დაწესებულებებში რეფერირების საკითხი:

„ორი წლის წინ, როდესაც მოვიკითხეთ მუნიციპალიტეტებში და ბაღებში არსებული მდგომარეობა, რეფერალით გათვალისწინებული შიდა პროცედურები ჰქონდათ თუ არა, საერთოდ არ ჰქონდათ, შესაბამისად, რომელ რეფერირებაზეა საუბარი, ჯერ ძალიან შორს ვართ ამ საკითხისგან“ - ექსპერტი.

აღსანიშნავია იმ ფაქტის სიმწვავეც, რომ აღმზრდელთა პიროვნული დამოკიდებულება აღზრდის ფორმების მიმართ, მათი მხრიდან გავლენას ახდენს ძალადობის იდენტიფიცირებული შემთხვევების შემდგომ შეტყობინებაზე. ერთ-ერთი აღმზრდელი ამ მიმართულებით აფიქსირებს:

„ვფიქრობ, ყველა მშობელმა უკეთ იცის, შვილს როგორ მოექცეს და აღზრდის რა ფორმები გამოიყენოს. როგორც ყველა ბავშვია ინდივიდუალური, ისე ყველა მშობელს ინდივიდუალური მიდგომა აქვს. მე ვფიქრობ, არცერთ დედას არ უნდა თავისი შვილისთვის ცუდი“. ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

ამასთან ერთად, ერთ-ერთ აღმზრდელს საკუთარი ბავშვობის მაგალითიც მოჰყავს და გვიმხელს, რომ დედა მასზე შირად იყენებდა ფიზიკური ძალადობის ფორმებს, თუმცა ამ ეტაპზეც, თავად აღნიშნულ ფაქტის მიმართ პრობლემას ვერ ხედავს. მისი აზრით, არანაირი ფსიქოლოგიური ტრავმა მას დედის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობებისგან არ მიუღია. პირიქით, დედა სწორად იქცეოდა და ის ამას იმსახურებდა:

„მე იმდენად ჯიუტი ბავშვი ვიყავი, დედაჩემი იმდენს მცემდა, არანაირი სტრესი და ტრავმა არ მიმიღია არც იმ ცემისგან და, მე ასე ვფიქრობ, ისეთი ჯიქი ვიყავი, რომ არ გავეჩეჩე, რა გავიზრდებოდი და რა გამოვიდოდი, არ ვიცი (იცინის). არ მიმაჩნია, რომ დედაჩემი ჩემზე ძალადობდა ამ ფორმით. რო ამბობენ სტრესს იღებს და ასეთები იზრდებიან და ისეთებიო, რა ვიცი, არც მკვლელი გამოვსულვარ და არც არაფერი (იცინის)“ ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების გამოცდილების გაანალიზება. 5 სოციალური მუშაკიდან 3 მათგანს ჰქონდა საბავშვო ბაღებში არსებულ შემთხვევებზე მუშაობის გამოცდილება. ერთ-ერთის ინფორმაციით, შემთხვევა რეინტეგრაციით დასრულდა, რადგან სახეზე იყო დედის მხრიდან ბავშვზე ფიზიკური ძალადობის და უგულებელყოფის ნიშნები. სხვა შემთხვევაში კი, პროცესი შემდეგნაირად წარიმართა:

„როდესაც მივიღე შეტყობინება აღსაზრდელის ფიზიკური დაზიანებების შესახებ, გავესაუბრე აღმზრდელს, ფსიქოლოგს, დირექტორს. დავადგინე, მანამდეც ხომ არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა ან ბავშვის მხრიდან ემოციური და ქცევითი სირთულეები ხომ არ შეუნიშნავთ აქამდე. გავესაუბრე ბავშვსაც, მშობლებსაც, რა დროსაც არ გამოკვეთილა დამატებითი ქმედებების განხორციელების საჭიროება, თუმცა მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობა ოჯახთან“. - სახელმწიფო სოციალური მუშაკი.

ექსპერტის ინფორმაციით, ბავშვთა დაცვის მიმართულებების სისუსტეს დაწესებულებებში იწვევს ის ფაქტიც, რომ ისინი მიმაგრებულია ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და არ ხდება მათი პირდაპირი კონტროლი განათლების და მეცნიერების სამინისტროდან. მისი შეხედულებით, სკოლების შემთხვევაშიც კი, რომლებიც პირდაპირ სამინისტროს ექვემდებარებიან, ბავშვთა დაცვის მიმართულებები, მიუხედავათ ტრენინგების სიმრავლისა, ჯერ ისევ სუსტია:

„უპირველესად, საქმეს ართულებს დაწესებულებების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მრიდან მართვა. როდესაც სისტემა პირდაპირ არ არის მიმაგრებული განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და ისინი ინფორმაციას ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან იღებენ, პრობლემები რჩება პრობლემებად. მუნიციპალიტეტებს კიდევ უამრავი მიმართულება აქვთ სამუშაოდ, შესაბამისად, სკლამდელ დაწესებულებებზე და, მითუმეტეს ბავშვთა დაცვის მიმართულებაზე, კონტროლი მათი მხრიდან, ფაქტოვრივად, არ ხდება“. - ექსპერტი.

ექსპერტის რეკომენდაციით, დაწესებულებებში ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, აუცილებელია სისტემების თანამშრომლობა, რომლებიც ამ ბავშვებზე არიან პასუხისმგებელნი. ამასთან ერთად, მისი დამოკიდებულებით, სისტემას უნდა შეეძლოს, ძალადობის ნებისმიერი ფორმის შეტყობინების დროს შესაბამისი რეაგირების მოხდენა და რეფერირების პროცედურების ზედმიწევნით სწორად განხორციელება, რადგან არ დავკარგოთ საზოგადოების ის მცირე ნაწილიც, რომელიც ახდენს ძალადობის იდენტიფიცირებას და, ამასთან ერთად, ცდილობს რეფერირებას:

„უნდა ხდებოდეს ბავა-ბაღების სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და განათლების და მეცნიერების სამინისტროებს შორის ინტენსიური თანამშრომლობა, რადგან ძალადობის შემთხვევების მონიტორინგი აღნიშნულ სისტემებში ხდება. უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მუდმივი გაცვლა არებული პრობლემატური საკითხების შესახებ და მათი გადაჭრის გზების მოძიებისთვის ერთობლივი მუშაობა“ - ექსპერტი.

დასკვნა-რეკომენდაციები

საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურის მიმოხილვამ და დოკუმენტების ანალიზმა მოგვცა თეორიული ჩარჩოს გააზრების საშუალება. არსებულ მასალაში გაანალიზებულია ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებები და ბაგა-ბაღების როლი აღნიშნულ პროცესში. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ ბავშვის სკოლამდელ სააღმზრდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეყვანის უზრუნველყოფა იწვევს დადებით გავლენას ინდივიდზე, მის გარემოსა და მთლიანად სახელმწიფოზე: ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობას; სკოლისთვის მომზადებას - ენის, მეტყველების, მათემატიკური და დასწავლის უნარების გააქტიურებას; კვების, ძილის და პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მოწესრიგებას; კრიმინალური ქცევის შემცირების პრევენციას; ადრეულ ეტაპზე ბავშვის განვითარებაში არსებული საეჭვო ნიშნების იდენტიფიცირებას; აგრესიული ქცევის შემცირებას; ემოციურ და სოციალურ სიჯანსაღეს - ბავშვებთან თამაშის სწავლას და ჯგუფურ აქტივობებში ჩართვას; ყოველივე ეს კი შემდგომში იწვევს: უმუშევრობის პრევენციას, ინდივიდების სახელმწიფო სოციალურ მომსახურებებზე დამოკიდებულების შემცირებას, ჯანმრთელობის უკეთეს მდგომარეობას; ინდივიდების შემოსავლების და, შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების ზრდას;

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცა ბავშვთა მიმართ ძალადობის, როგორც ბავშვის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორის შესახებ ლიტერატურის გაანალიზებამ. კერძოდ, გამოიკვეთა შემდეგი საკითხებიბი: მშობლებს ბავშვობიდან მოჰყვებათ აღზრდის ნეგატიური გამოცდილება, რაც ისახება მათი მშობლობის ახლანდელ უნარებზე;

მშობლობის უნარები, ის, თუ როგორ ზრუნავენ ბავშვებზე, აყალიბებს ბავშვის მორალურ სახეს; მშობლების ურთიერთობის ფორმები, მათ ქცევაზე დაკვირვება, დიდწილად განაპირობებს ბავშვის მხრიდან იგივე ფორმების შემდგომში გამეორებას; ადრეული ბავშვობის ძალადობრივი გამოცდილებები, ხშირად, ადამიანის ჯანმრთელობის ქრონიკულ სირთულეებში ვლინდება; ბავშვთა მიმართ ძალადობა უკავშირდება ისეთ გრძელვადიან ქრონიკულ ფსიქო-ემოციურ სირთულეებს, როგორებიცაა: თვითდამაზიანებელი აზრები და ქცევა, ნივთიერებების ავადმოხმარება, აგრესია და კრიმინალური ისტორია; ბავშვობის ძალადობრივი გამოცდილებები აზიანებს ტვინის ფიზიკურ სტრუქტურას, ხელს უშლის ჯანმრთელობის ერთიანი სურათის ჩამოყალიბებას და იწვევს ბავშვის ტვინის ნერვული სტრუქტურისა და ფუნქციის შეცვლას; ადრეულ ასაკში ხშირი სტრესი ხელს უშლის ტვინის აგებულების, იმუნური სისტემის, მეტაბოლიზმის და გულსისხლძარღვთა სისტემის ჩამოყალიბებას; ბავშვობის ტრავმები თავს იჩენს ზრდასრულობის და მოზარდობის პერიოდში და ზრდის რისკ-ფაქტორს დეპრესიის, ბიპოლარული აშლილობის, შიზოფრენიის და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის; ინექციულ ნარკოტიკებზე დამოკიდებულება ხშირად არის დაკავშირებული ბავშვობის ტრავმულ გამოცდილებებთან.

ლიტერატურის მიმოხილვამ მოგვაწოდა ინფორმაცია ბაგა-ბაღების აღმზრდელთა კვალიფიკაციის, ასევე დაწესებულებების ხარისხის მნიშვნელობასა და გავლენაზე ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიმართულებით: აღმზრდელთა ინტენსიურ გადამზადებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ოჯახური ძალადობის იდენტიფიცირების, შესაბამისი რეაგირების და რეფერირების პროცედურების დაცვის მიმართულებებით; გამოიკვეთა, რომ აღმზრდეთა განათლების ხარისხი არ არის საკმარისი ბავშვთა დაცვის და მათი უნარ-ჩვევების განვითარების საკითხში, ამისათვის მეტად საჭიროა ხარისხიანი გადამზადება და პროფესიონალურად ჩამოყალიბებული აქტივობების ფართო სპექტრი; კვლევებით დასტურდება აღსაზრდელთა სოციალურ-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება აღმზრდელთა გადამზადების შემდეგ;

ლიტერატურის ანალიზმა ასევე მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საერთაშორისო გამოცდილებისა ძალადობის იდენტიფიცირებისას რეფერირებისთვის ხელშემშლელი ფაქტორების შესახებ. კვლევებმა აჩვენა, რომ რეფერირების პროცედურების დროს, ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად, გასათვალისწინებელია: განმცხადებელზე ზიანის მიყენების საფრთხე; განმცადებლის პირადი დამოკიდებულება და ურთიერთობა მშობელთან; პროფესიული ვალდებულება; ბალანსის შენარჩუნება; კულტურული სოლიდარობა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხში; ხალხში გავრცელებული ცრურწმენები; ბავშვთა დაცვის უწყებების მხრიდან იმედგაცრუების გამოცდილება;

დოკუმენტების ანალიზმა, სადაც გაერთიანებულია: ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დებულებები, სახალხო დამცველის ანგარიში, კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“, 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია - მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბაგა-ბაღებში ბავშვთა დაცვის მიმართულებით არსებული რეგულაციების შესახებ.

ინტერვიუების გაანალიზების შედეგად დაგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიკვეთა სხვადასხვა სახის სირთულე და მათი სიმწვავე. ანალიზის შედეგად, სახეზე გვაქვს შემდეგი საკითხების აქტუალობა:

- ბაგა-ბაღები ექვემდებარებიან ადგილბრივ მუნიციპალიტეტებს და არ არიან პირდაპირ მართული განათლების სამინისტროს მხრიდან. აღნიშნულის გამო, რთულდება დაწესებულებებში კონკრეტულად ბავშვთა დაცვის მიმართულებასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგი;
- არ ხდება პერსონალის მასობრივი გადამზადება ბავშვთა დაცვის მიმართულებით მათი ინფორმირებულობის ასამაღლებლად, რის გამოც, სახეზე გვაქვს შემდეგი სირთულეები: პერსონალს უჭირს ძალადობის სახეების განსხვავება და, ბავშვთა ზრდა-განვითარების პროცესებზე, მათი გავლენის გაანალიზება; ძალადობა საგანგაშოდ აღიქმება მხოლოდ მისი ფიზიკური გამოხატულების არსებობის ან განმეორების შემთხვევაში; პერსონალი, პრაქტიკულად, ვერ ახორციელებს ოჯახში

ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების და რეფერირებისთვის საჭირო პროცედურების; პერსონალი, დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, ვერ თანამშრომლობს ძალადობის მსხვერპლ აღსაზრდელთან; არსებული რეგულაციების ცოდნა ბავშვთა დაცვის მიმართულებებით პერსონალის მხრიდან არ არის სავალდებულო;

- სახეზე გვაქვს როგორც აღმზრდელთა, ისე მშობელთა ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი ბავშვთა კეთილდღეობის მიმართულებებით. არ ხდება მშობელსა და დაწესებულების აღმზრდელებს შორის ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის შესაბამისად თანამშრომლობა, როდესაც აქტიური თანამშრომლობა ძალადობის იდენტიფიცირების წინაპირობაა;
- სისტემას არ აქვს ეროვნული სტანდარტებით დამტკიცებული კურიკულუმი პერსონალის გადამზადებისთვის. შედეგად, ნაკლებად კონტროლირებადია იმ კადრების კვალიფიკაცია ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის მიამართულებით, ვისაც პერსონალთან ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობა ეძლევა;
- გაუმართავია სკოლამდელ დაწესებულებებში კადრების აყვანის შიდა მოთოვნები: აყვანამდე არ ფასდება მათი ცოდნა ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური ზრდა განვითარების საკითხებში; არ ფასდება მათი პირადი ღირებულებები და დამოკიდებულებები ბავშვთა დაცვის საკითხებში; აღნიშნულის გამო, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში მომუშავე პერსონალს, უმეტესად, ისეთივე წარმოდგენები აქვს ბავშვთა დაცვის მიმართულებით, როგორიც რიგით მოქალაქეს;
- სკოლამდელი დაწესებულებებისთვის არსებობს რეგულაციები ბავშვთა დაცვისა მიმართულებებით, თუმცა, გაუმართავია მეთოდოლოგიური ნაწილი და არ არსებობს მკაფიო სტანდარტები იმასთან დაკავშირებით, თუ - როგორ იცავს ბავშვს ოჯახური ძალადობისგან დაწესებულება, როგორ უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ძალადობის იდენტიფიცირებისას, როგორ ახორციელებს „საეჭვო ბავშვზე“ მონიტორინგს, ვის და რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება ძალადობის იდენტიფიცირებისას რეფერირების პროცედურების უგულებელყოფისთვის;

კვლევის შედეგად გამოკვეთილი საკითხების საფუძველზე, შეგვიძლია შემდეგი სახის რეკომენდაციების გაცემა, რომლებიც დაეხმარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, ხელი შეუწყონ სკოლამდელ სააღმზრდელობო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაუმჯობესებას:

- ბაგა-ბაღები გამოეყონ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს - მოხდეს მათი პირდაპირი დაქვემდებარება განათლების სამინისტროსთან;
- ეროვნულ დონეზე დამტკიცებული კურიკულუმით მასობრივად გადამზადდეს დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალი, რათა მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლება ბავშვთა დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით - ძალადობის იდენტიფიცირების და რეფერირების საკითხებში;
- ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის მიმართულებებით, აღსაზრდელების მშობელთა ინფორმირებულობის ასამაღლებლად, მასობრივად და უწყვეტად ჩატარდეს ინფორმაციული შეხვედრები;
- დაიხვეწოს კადრების აყვანის შიდა მოთხოვნები - შეფასდეს მათი თეორიული ცოდნა ბავშვთა დაცვის და, ამ კუთხით, მათი ღირებულებების მიმართულებით. კერძოდ, კადრების აყვანამდე: შეფასდეს პერსონალის თეორიული ცოდნა ბავშვთა ბიო-ფსიქო-სოციალური განვითარების და საჭიროებების შესახებ; შეფასდეს პერსონალის ღირებულებები ბავშვთა კეთილდღეობის მიმართულებებით - მოხდეს ძალადობის საკითხისადმი მათი პიროვნული დამოკიდებულების ამომწურავი გაანალიზება;
- დაწესებულებებში უნდა არსებობდეს მკაფიო სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც, გაკონტროლდება ბავშვთა ძალადობისგან დაცვის პროცედურები - როგორ იცავს ბავშვს ოჯახური ძალადობისგან, როგორ უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ძალადობის იდენტიფიცირებისას, როგორ ახორციელებს მონიტორინგს, ვის და რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება რეფერირების პროცედურების განუხორციელებლობისთვის;

- გადამზადებული პერსონალის მონიტორინგს ჰქონდეს აქტიური სახე - ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეფერირების დოკუმენტის დებულებების ცოდნა და განხორციელება გახდეს სავალდებულო;
- ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, ინტენსიურად თანამშრომლობდნენ განათლების სამინისტრო, ბავა-ბაღების მართვის და სოციალური მომსახურების სააგენტოები. აღნიშნულ სისტემებს შორის ხდებოდეს ინფორმაციის გაცვლა არსებული სირთულეების შესახებ და გადაჭრის გზების ძიებისთვის ერთობლივი თანამშრომლობა;

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაკელია ნ., ანჯაფარიძე მ., ბაქრაძე თ., ქირია ი., კეპულაძე ნ., ლოსაბერიძე ა., მაისურაძე ი., ღვინერია ე., ცინცაძე ნ., (2011) ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა URL: http://kids.org.ge/files/baga_bagis_martvis_strategia.pdf

ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში (UNICEF, 2013) http://unicef.ge/uploads/Violence_ALL.pdf

მსოფლიო მოხსენება თემაზე „ძალადობა ბავშვების მიმართ“ (UNICEF, 2006) https://www.unicef.org/georgia/

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, თბილისი, 2015 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958964?publication=0

საქრთველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, საქართველოს მთავრობის დადგენილება, თბილისი, 2017 http://mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“, 2016 http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/42.pdf

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, თბილისი, 2015 http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3371.pdf

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, თბილისი, 2010 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021481?publication=0

ALAN KIBBE GAYNOR (2015) Development Toward School Readiness: A Holistic Model

Source: The Journal of Education, Vol. 195, No. 3, pp. 27-40 Published by: Sage Publications, Inc. Stable URL: https://www.jstor.org/stable/44510415

Amy Prangnell, Pauline Voon, Hennady Shulha, Ekaterina Nosova, JeanShoveller, M.-J.Milloy, Thomas Kerr,, KannaHayashi The relationship between childhood emotional abuse and chronic pain among people who inject drugs in Vancouver, Canada, Child Abuse & Neglect
Volume 93, July 2019, Pages 119-127

URL: https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0145213419301681

Antwi W.K. Reeves P. Ferris C. Aziato L. (2018) Behavioural beliefs of Ghanaian radiographers and reporting of child physical abuse

Source: Article in Press Radiography, (PP 1-7)

Stable URL: https://ac-els-cdn-com.lez.tsu.edu.ge:

Bernadette Daelmans (2015) Effective interventions and strategies for improving early child development

Source: BMJ: British Medical Journal , Vol. 351 Published by: BMJ Stable URL: https://www.jstor.org/stable/10.2307/26521852

Breyon J. Williams (2019), The spillover benefits of expanding access to preschool , Economics of Education Review, University of South Carolina, United States Darla Moore School of Business, Department of Economics

Early M., Kelly L. Maxwell, Margaret Burchinal, Soumya Alva, Randall H. Bender, Donna Bryant, Karen Cai, Richard M. Clifford, Caroline Ebanks, James A. Griffin, Gary T. Henry, Carollee Howes, Jeniffer Iriondo-Perez, Hyun-Joo Jeon, Andrew J. Mashburn, Ellen Peisner-Feinberg, Robert C. Pianta, Nathan Vandergrift and Nicholas Zill (2007) Teachers' Education, Classroom Quality, and Young Children's Academic Skills: Results from Seven Studies of Preschool Programs

Child Development Vol. 78, No. 2 pp. 558-580 Published by: Wiley on behalf of the Society for Research in Child Development

Felicia Gould, Jennifer Clarke, Christine Heim, Philip D.Harvey, MatthiasMajer, Charles B.Nemeroff (2012)

The effects of child abuse and neglect on cognitive functioning in adulthood, Volume 46, Issue 4, Pages 500-506 URL: https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0022395612000064

Feng J. Y., Shu-Jung Chen, Nancy C. Wilk, Wan-Ping Yang, Susan Fetzer (2009)
Kindergarthen teachers' experience of reporting child abuse in Taiwan: Dancing on the edge . Children And Youth Services Review, Volume 31, pp. 405-409

Graue E. (2001) What's Going On in the Children's Garden? Kindergarten Today
journal article: *Young Children* Vol. 56, No. 3 (pp. 67-73)
Published by: National Association for the Education of Young Children (NAEYC)

Stable URL: http://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2048/stable/42727955

Heather A.Knauer ,Emily J.Ozer, William H.Dow., bLia C.H.Fernald (2019) Parenting quality at two developmental periods in early childhood and their association with child development Early Childhood Research Quarterly , Volume 47, 2nd Quarter 2019, Pages 396-404

URL: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0885200618301091

Hill P.S. (1987) *The Function of the Kindergarten*
Source: Young Children, Vol. 42, No. 5 pp. 12-19, 56
Published by: National Association for the Education of Young Children (NAEYC)
Stable URL: http://www.jstor.org/stable/42725994

Jensen B, Jensen P, Rasmussen A. W. (2017) Does professional development of preschool teachers improve children's socio-emotional outcomes? Journal: Labour Economics 45 (pp. 26–39)

Stable URL: https://ac-els-cdn-com.lez.tsu.edu.ge:

Jill S. Cannon, Anamarie Auger, Rebecca Diamond and Katherine L. Spurlock . (2016)

Chapter Title: Research Evidence on Caregiver–Child Interactions and Professional Development Supports Book Title: Professional Development for the Early Care and Education Workforce in Shelby County, Published by: RAND Corporation,

Stable URL: https://www.jstor.org/stable/10.7249/j.ctt1btc14g.9

Joanna Cahall Young and Cathy Spatz Widom (2014)
Long-term Effects of Child Abuse and Neglect on Emotion
Processing in Adulthood , Published in final edited form as:Child Abuse Negl.

URL: https://kopernio.com/viewer?doi=10.1016/j.chiabu.2014.03.008&route=2
José B. Ashford and Craig Winston LeCroy (2010) Human Behavior in the Social Environment: A Multidimensional Perspective, Fourth Edition, Printed in the United States of America, pg. 17-19

Karmen Toros, Riine Tiirik (2016) Preschool Teachers' Perceptions About and Experience with Child Abuse and Neglect, Early Childhood Education Journal
Volume 44, Issue 1, pp 21–30
URL: https://link.springer.com/article/10.1007/s10643-014-0675-0

Kendall-Tackett (2002) The health effects of childhood abuse: four pathways by which abuse can influence health, Volume 26, Issues 6–7, Pages 715-729
URL: https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0145213402003435

Kimberley A. Arbeau and Robert J. (2007) Kindergarten Teachers' Beliefs and Responses to Hypothetical Prosocial, Asocial, and Antisocial Children Coplan Source: Merrill-Palmer Quarterly, Vol. 53, No. 2 (April pp. 291-318 Published by: Wayne State University Press

Legankovaa O. V. Nedvetskaya T. M. (2016) Teacher's Professional Gaming Competence as a Condition , for Preschool Education Quality Enhancement , Published by Elsevier; Procedia - Social and Behavioral Sciences, Volume 233, (pp. 88-90)
Stable URL: Stable URL: https://www-sciencedirect-com.lez.tsu.edu.ge:2443/science/article/pii/S187704281631374X

Lixin Ren, Bi Ying Hu & Zhanmei Song (2019)
Child routines mediate the relationship between parenting and social-emotional development in Chinese children, Children and Youth Services Review
Volume 98, Pages 1-9
URL: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0190740918308454

Louis Jacob, Philippe Thoumie, Josep Maria Haro, AiKoyanagi (2019) The relationship of childhood sexual and physical abuse with adulthood disability, Annals of Physical and Rehabilitation Medicine
URL: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S187706571930079X

Maria Vlachou, Eleni Andreou, Kafenia Botsoglou and Eleni Didaskalou (2011)

Bully/Victim Problems Among Preschool Children: a Review of Current Research Evidence *Educational Psychology Review* Vol. 23, No. 3 pp. 329-358 , Published by: Springer

URL: https://www-jstor-org.lez.tsu.edu.ge:

Marc H. Bornstein, Pia Rebello Britto, Yuko Nonoyama-Tarumi, Yumiko Ota, Oliver Petrovic and Diane L. (2012)

Child Development in Developing Countries: Introduction and Methods , Putnick Source: Child Development, Vol. 83, No. 1, pp. 16-31 Published by: Wiley on behalf of the Society for Research in Child Development Stable URL: https://www.jstor.org/stable/41416064

Nathan A. Fox (2012) Community violence, toxic stress and developing brains, Department of Human Development, University of Maryland, USA, and Jack P. Shonkof f, Center on the Developing Child, Harvard University, USA1

URL: http://awdfresources.org/repository/Community_Violence_and_Young_Children_-_Making_Space_for_Hope.pdf

OECD (2010) Early childhood care and pre-school education, Reviews of National Policies for Education: Kyrgyz Republic, Lessons from PISA, OECD Publishing

Stable URL: https://read.oecd-ilibrary.org/education/reviews-of-national-policies-for-education-kyrgyz-republic-2010/early-childhood-care-and-pre-school-education_9789264088757-7-en#page1

OECD (2018) Engaging Young Children: lessons from research about quality in early child education and care, Starting Strong, OECD Publishing

URL: https://read.oecd-ilibrary.org/education/engaging-young-children_9789264085145-en?fbclid=IwAR1yIm4x_3q9rtB-Hp3tVpVA6l5wMQ9iKHaRvZ5F2IpEBZkpQ_Z8uz6UocY#page4

Rebecca K. Sayre, Amanda E. Devercelli, Michelle J. Neuman, and Quentin Wodon (2015) A World Bank Study Investing in Early Childhood Development, Review of the World Bank's Recent Experience

StableURL:
https://olc.worldbank.org/sites/default/files/Investing%20in%20Early%20Chidhood%20Development_Review

%20of%20the%20WB%20Recent%20Experience_eBook_0.pdf?fbclid=IwAR2IAoLJ-qexVPxq3SLqcHUy-1fMfmyRWgAS2SjZtQpFWGoukHNzwykqIi8

Ross A. Thompson (2014) Stress and Child Development, Source: The Future of Children, Vol. 24, No. 1, Helping Parents, Helping Children: TwoGeneration Mechanisms, pp. 41-59 Published by: Princeton University

Stable URL: https://www.jstor.org/stable/23723382

Ryan J. E. (2006), A Constitutional Right to Preschool? Source: California Law Review,

Vol. 94, No. 1 (pp. 49-99) Published by: California Law Review, Inc.

SHIRLEY WOIKA and CARISSA BOWERSOX (2013) CHILD ABUSE AND MANDATED REPORTING

Source: Educational Horizons, Vol. 91, No. 4, pp. 26-29 Published by: Phi Delta Kappa International

Stable URL: https://www.jstor.org/stable/42927192

Tim M. Mulder, Kimberly C. Kuiper, Claudia E. van der Puta, Geert-Jan J.M. Stamsa,Mark Assink (2018)

Risk factors for child neglect: A meta-analytic review , Research Institute of Child Development and Education, University of Amsterdam, The Netherlands Department of Education and Child Studies, Leiden University, The Netherlands

Published by:
https://reader.elsevier.com/reader/sd/pii/S0145213418300164?token=19D968239CC4D8E2A137DE8A0C2A82179C7FB4B6D23C664ACAA6FCA788E95F656FFD820298781839B5B7E03BC22350E4

Yoshikawa H., Weiland Ch. and Brooks-Gunn J. (2016) When Does Preschool Matter?

the Future of Children Vol. 26, No. 2, Starting Early: Education from Pre Kindergarten to Third Grade (pp. 21-35) Published by: Princeton University

Stable URL: https://www-jstor-org.lez.tsu.edu.ge:

Child abuse and neglect by parents and other caregivers, WORLD REPORT ON VIOLENCE AND HEALTH (WHO, 2012) *https://www.who.int/violence_injury_prevention/violence/global_campaign/en/chap3.pdf*

Preventing and Responding to Violence, Abuse, and Neglect in Early Childhood (UNICEF, 2013) https://www.unicef.org/protection/files/Report_on_preventing_and_responding_to_violence_in_early_childhood_2013_Cassie_Landers.pdf

STUDY ON QUALITY OF EARLY CHILDHOOD EDUCATION AND CARE IN GEORGIA (UNICEF, 2018)

http://unicef.ge/uploads/Pre-school_quality_study-eng-2018.pdf

The State of Social Safety Nets, World Bank Group (2018)
http://documents.worldbank.org/curated/en/427871521040513398/pdf/124300-PUB-PUBLIC.pdf

დანართი 1

გაიდი 1. ბაგა-ბაღის აღმზრდელთან

1. მოგვიყევით აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილების შესახებ - რამდენი ხანია მუშაობთ, რა თანამდებობებზე მუშაობდით, რამდენად მოგწონთ აქ მუშაობა..
2. ამ ბაგა-ბაღში მუშაობის დაწყებიდან, ზოგადად, რა სახის ტრენინგები გაქვთ გავლილი?
3. ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის დოკუმენტში არსებობს ასეთი პუნქტი (8.4) „ძალადობის ამოცნობა და რეაგირება“, რამდენად ეთანხმებით იმ რეგულაციებს, რაც ამ პუქტშია მოცემული?
4. მართვის სტრატეგია რომ არ გავალდებულებდეთ, რამდენად ხედავთ საკუთარ პასუხისმგებლობას აღსაზრდელებში ძალადობის ამოცნობისა და რეაგირების საკითხში?

5. როგორ ფიქრობთ, რა მახასიათებლებით ამოიცნობა ძალადობის მსხვერპლი აღსაზრდელი? თქვენ რა მახასიათებლებს ეყდნობით?

6. შეგხვედრიათ თქვენს აღსაზრდელებში შემდეგი ნიშნები? - მუდმივი აღგზნებადობა, შიშები, დათრგუნვა, ჰიგიენის ნაკლებობა, არ უნდათ სახლში დაბრუნება, ვერ ხსნიან ტრავმის მიზეზებს, მშობლებს გულგრილად ხვდებიან, აქვთ სექსის შესახებ ასაკთან შეუფერებელი ცოდნა, საუბრობენ განცდილ ძალადობაზე? როგორ მოიქეცით/იქცევით ამ დროს?

7. გქონიათ პრაქტიკაში ძალადობის მსხვერპლ აღსაზრდელთან ურთიერთობა? (თუ გქონიათ, როგორ შენიშნეთ? როგორ წარიმართა თქვენი ურთიერთობა? რა მოიმოქმედეთ?)

8. თქვენი აზრით, რა სახის ძალადობის იდენტიფიცირების შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს რეფერირება და რა ფორმით? პირადად თქვენ რა ნაბიჯებს დგამთ ძალადობის კვალის აღმოჩენის შემთხვევაში?

9. თქვენი ან კოლეგების გამოცდილებიდან გამომდინარე, რამდენად მწვავედ დგას ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი თქვენს აღსაზრდელებთან?

10. როგორია მშობელსა და აღმზრდელს შორის თანამშრომლობის იდეალური ვარიანტი? თქვენს შემთხვევაში, როგორი მდგომარეობაა?

11. როგორ ფიქრობთ, რა დაგეხმარებოდათ ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობის და რეაგირება/რეფერირების პროცედურების სააგენტოს რეგულაციის შესაბამისად წარმართვაში?

გაიდი 2. ბაგა-ბაღის ფსიქოლოგთან

1. მოგვიყევით ბაგა-ბაღში მუშაობის გამოცდილების შესახებ - რამდენი ხანია, რაც აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობთ, რამდენად მოგწონთ აქ მუშაობა?
2. თქვენი აზრით, რამდენად მაღალია ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ძალადობის რისკი? ამ მხრივ რა გამოცდილება გაქვთ საკუთარ აღსაზრდელებთან?
3. რამდენად გავალდებულებთ ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია ან რამდენად გრძნობთ საკუთარ პასუხისმგებლობას აღსაზრდელებში ძალადობის კვალის ამოცნობისა და რეაგირების საკითხში?

4. რა უნდა მოვიმოქმედოთ აღსაზრდელთან ოჯახური ძალადობის კვალის იდენტიფიცირების შემთხვევაში? მოგვიყევით თქვენი გამოცდილების შესახებ -როგორ შენიშნეთ? როგორ წარიმართა თქვენი ურთიერთობა? რა მოიმოქმედეთ?

5. რამდენად მოგმართავენ ბაღის აღმზრდელები სავარაუდო ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირებისათვის? მოგვიყევით საკუთარი გამოცდილების შესახებ...

6. საუბრობენ თავად ბავშვები ოჯახში მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ? რა ნაბიჯებს დგამთ ასეთ შემთხვევაში?
7. თქვენი აზრით, რამდენად მწვავედ დგას ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი თქვენს აღსაზრდელებთან?

8. როგორ ფიქრობთ, რა დაგეხმარებოდათ ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობის და რეაგირება/რეფერირების პროცედურების სწორად წარმართვაში?

გაიდი 3. ბაგა-ბაღის დირექტორთან

1. მოგვიყევით ბაგა-ბაღში მუშაობის გამოცდილების შესახებ - რამდენი ხანია, რაც აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობთ, რა პოზიციებზე გიმუშავიათ, რამდენად მოგწონთ აქ მუშაობა...
2. თქვენი აზრით, რამდენად იცნობენ აღმზრდელები ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის დოკუმენტს? როგორ მოწმდება მათი ცოდნა?
3. როგორ ფიქრობთ, ვისი პასუხისმგელობაა ბაგა-ბაღებში ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობა? თქვენთან როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი?
4. თქვენი აზრით, ვის უნდა მიმართოს ბაღის პერსონალმა ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისას? მოგვიყევით საკუთარი აღმზრდელების გამოცდილების შესახებ, გქონიათ ბაგა-ბაღში ძალადობის რეფერირების შემთხვევა? როგორ წარიმართა მოვლენები?
5. როგორ ფიქრობთ, არსებობს რაიმე მიზეზი, რის გამოც შეიძლება არ/ვერ წარმიმართოს რეფერირების პროცედურები ძალადობის იდენტიფიცირებისას? მოგვიყევით საკუთარი გამოცდილების შესახებ

6. როგორ ფიქრობთ, რა დაეხმარებოდათ აღმზრდელებს ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის ამოცნობის და რეაგირება/რეფერირების პროცედურების სწორად წარმართვაში?

გაიდი 4. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთან

1. რამდენი ხანია, რაც სააგენტოში მუშაობთ? ამ დროის განმავლობაში, ბაგა-ბაღებიდან შემოსული შეტყობინებების რამდენ შემთხვევას გაიხსენებდით? უმეტესად, ვისი მხრიდან კეთდება შეტყობინება?
2. თქვენი ან თქვენი კოლეგების გამოცდილებით, უმეტესად, რა სახის შეტყობინებები შემოდის სააგენტოში ბაგა-ბაღებიდან? მოგვიყევით ამის შესახებ...
3. როგორ ფიქრობთ, რამდენად ახერხებს ბაგა-ბაღების პერსონალი ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებას? უმეტესად, რა მახასიათებლებზე ამახვილებენ ყურადღებას?
4. თქვენი დაკვირვებით, რამდენად შეუძლია პერსონალს ბავშვთა მიმართ ძალადობის სახელდება? რა დამოკიდებულებას ავლენენ ძალადობის არაფიზიკური ფორმების შესახებ?
5. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორად წარმართავს პერსონალის რეფერირების პროცედურებს? რაში ხედავთ სირთულეს?
6. თქვენი დაკვირვებით, რამდენად სწორად მოქმედებს პერსონალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან ძალადობის იდენტიფიცირების შემდგომ? როგორ იცავს ეთიკის ნორმებს?
7. თქვენი დაკვირვებით, რა უშლის ხელს პერსონალს ძალადობის იდენტიფიცირების და რეფერირების პროცედურების სწორად წარმართვაში?

გაიდი 5. გაბა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელთან

1. როგორ ფიქრობთ, როგორია აღმზრდელების ცნობადობა ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის დოკუმენტთან დაკავშირებით? რამდენად მოწმდება, რომ ისინი აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მოქმედებენ?
2. ძირითადად, რაში ხედავთ პრობლემას - აღმზრდელებს ძალადობის ამოცნობა უჭირთ, თუ მომდევნო ნაბიჯების გადადგმა?
3. რას აკეთებს სააგენტო ამ მიმართულებით ბაგა-ბაღებთან სამუშაოდ - ტრენინგებს ატარებს, დირექტორებს ხვდება თუ სხვა?
4. რამდენად ხელმძღვანელობს სააგენტო საერთაშორისო გამოცდილებით ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიაში?
5. რა ზომებს მიმართავს სააგენტო ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების დროს რეფერირების პროცედურების უგულებელყოფისთვის? რამდენად ხშირად ხდება აღნიშნული?

6. რომელ უწყებებთან თანამშრომლობთ ოჯახში აღსაზრდელების მიმართ ძალადობის შესახებ მომართვიანობის რეგულირებისათვის და რა ფორმით? რამდენად ხშირია ასეთი თანამშრომლობა?
7. რა ცვლილებები მიმდინარეობს/იგეგმება სააგენტოში ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით?

გაიდი 6. ექსპერტთან

1. როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვს ჩვენ საზოგადოებას გააზრებული სკოლამდელი დაწესებულებების მნიშვნელობა?
2. თქვენი აზრით, რამდენად პასუხობს თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია საერთაშორისო სტანდარტებს? მათ შორის, როგორ შეაფასებთ ძალადობის ამოცნობის რეგულაციებს?
3. თქვენი აზრით, როგორია ბაგა-ბაღების აღმზრდელთა ინფორმირებულობის დონე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხში? თუ აკლიათ ინფორმირებულობა, რატომ ? სად ხედავთ პრობლემას?
4. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ არაინფორმირებულობაა პრობლემა, თუ მომდევნო ნაბიჯების გადადგმას ვერ ახერხებენ? რატომ?
5. თქვენი დაკვირვებით, როგორია საბავშვო ბაღების აღმზრდელთა გამოცდილება ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების საკითხში?
6. საერთაშორისო გამოცდილებით, რა ბერკეტები არსებობს ბაგა-ბაღებში აღსაზრდელების ოჯახური ძალადობისგან დასაცავად? რა ხორციელდება ჩვენს ბაგა-ბაღებში?
7. თქვენი აზრით, რა დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას ბაგა-ბაღების მხრიდან ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცედურების მიმართ?
8. როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან ბაგა-ბაღების აღმზრდელები ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხის წინაშე?
9. რა რეკომენდაციებს გასცემდით თბილისის საჯარო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთვის ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების და რეაგირება/რეფერირების პროცედურების გასაუმჯობესებლად?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ana Beria

Child abuse in family identification and response in preschool

Social Work

Master Thesis is done to obtain the Master's Degree in Social Work

Supervisor: Tamar Makharadze

Associate professor of Faculty of Social and Political Sciences of TSU

Tbilisi

2019